852/2 11793

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 8 ოქტომბერი 1993 № 18 (65) ფასი 215 კუპონი

2 მდუმარე სტადიონები
განახლდება თუ არა ჩემპიონატი?

3 თბილისის ნაცვლად, კოპენჰაგენში
საფეხბურთო ევროტურნირები

4 პატივაყრილი „მარსელი"
... და ევროპის ეროვნული ჩემპიონატები

5 მტერს მოკლავდა ამის მუშტი



ლენოქს ლუისმა ტიტული დაიცვა

7 ორი სეზონის შესაყარზე



მსოფლიო რაგბის ამბები

8 უცხო ხილი



ავსტრალიური ბურთაობა

**რედაქციისგან:** ბოლო ხანს გამომცემლობა „სამშობლოს" გაზეთის ბეჭდვისთვის აუცილებელი მასალები შეპოელია, რამაც, ბუნებრივია, „სარბიელის" ზურგზეც გადაიარა: ორი ნომერი ხომ ჩაგვივარდა და სარედაქციო გეგმებიც გვარიანად აგვერია — ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალ ქართველ ძიუდოისტებს დავულოცეთ გზა, შეპირებული მემუარები მიხეილ ტალის შესახებ სხვა საინტერესო მასალებთან ერთად სამომავლოდ გადავდეთ და ვერც გაზეთის გაძვირებას გადავურჩით: გაზრდილი სასტამბო ხარჯების გამო დღევანდელი ფასი ის მინიმუმია, გაზეთის შენარჩუნების საშუალებას რომ იძლევა, სხვაგვარად „სარბიელს" დახურვა არ აცდებოდა. ამას სატრანსპორტო ხარჯებიც დაუმატეთ და ალბათ აღარ გაიკვირვებთ, თუ თბილისის მიღმა გაზეთი უფრო ძვირი ეღირება.

## ჯორდანი მიდის?

მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელმა, 30 წლის მაიკლ ჯორდანმა გუშინწინ საგანგებო პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ თამაშს თავს ანებებს: კალათბურთში რისი მიღწევაც შეიძლებოდა, ყველაფერს მივაღწიეო. იმასაც ამბობენ, ჯორდანის წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მამის მკვლელობის გამო მიღებული სულიერი ტრავმააო. ქომაგებისთვის სამწუხარო იქნება, თუ ჯორდანი სიტყვას არ გატეხს და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ჩემპიონატი ნოემბრის დამდეგს უმისოდ დაიწყება. ვნახოთ, ვარსკვლავებს ხომ ჭირვეულობა სჩვევიათ.



## დერიუგინი და შენგელია დაბრუნდნენ!

ქართული კალათბურთის ამბები — მეხუთე გვერდზე

## ვინ იქნება პირველი მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოდან?

დიახ, საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ არ გაუმარჯვია. პირველ ჩემპიონს ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ველოდით, რომელიც კანადაში, ჰამილტონში კვირას დამთავრდა, მაგრამ ამაოდ — ჩვენებს იქ მხოლოდ ორი „ვერცხლი" და ერთი „ბრინჯაო" მოუპოვებიათ, ოღონდ ვერკი დავადგინეთ, ვის — კანადიდან ცნობების მიღება იმდენად გაჭირდა, რომ თავად ძიუდოს ფედერაციის თავკაცები ყოველდღე გვირეკავდნენ, ჩვენებისა რამე ხომ არ გაგიგიათო. ინგლისურენოვანი საინფორმაციო წყაროები ძიუდოს არ სწყალობენ, რუსები კი თავიანთ ბრინჯაოს პრიზიორებსღა ითვლიდნენ. ჩვენი ვარაუდით, ერთ-ერთი მედალოსანი უთუოდ დავით ხახალეიშვილი უნდა იყოს, დანამდვილებით კი ის ვიცით, რომ 86 და 78 კგ წონაში პრიზიორები არ გვყოლია.



ქართველებიდან კანადაში ჭიდაობდნენ: დავით ხახალეიშვილი (ქუთაისი, +95 კგ, აბსოლუტური პირველობა), მევლუდ ლობჟანიძე (თბილისი, 95), მამუკა ბოტკოველი (თელავი, 86), ივანე ნივილაძე (თბილისი, 78), ვლადიმერ დგებუაძე (სოხუმი, 71), გიორგი რევაზიშვილი (საგარეჯო, 65), გიორგი ვაზაგაშვილი (გორი, 60).

მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: დავიდ დუიე (საფრანგეთი, +95), ონტალ კოვაჩი (უნგრეთი, 95), იოშიო ნაკამურა (იაპონია, 86), კი იონგ ჩუნი (კორეა, 78), ხუნ ჩანგი (კორეა, 71), იუკიმასა ნაკამურა (იაპონია, 65), რიუძი სონოდა (იაპონია, 60). აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებული ჯერ ვერ დავადგინეთ. ვრცელ მასალას ქართული დელეგაციის დაბრუნებისთანავე შემოგთავაზებთ.

## „ცხუმი"? „ამირანი"? „მზიური"?

ზემოაღნიშნული გუნდების ხელმძღვანელები და ფეხბურთელები სხვებთან ერთად იცავდნენ მშობლიურ ქალაქებს. აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ ზოგი სად მოხვდა, ზოგი სად. სოხუმის მერისა და „ცხუმის" პრეზიდენტის გურამ გაბისკირიას ასავალ-დასავალი დღემდე უცნობია. „ცხუმის" ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ კაკულიამ ზედ მტრის ჯარების სოხუმში შემოსვლის წინ დატოვა ქალაქი, რამდენიმე საათით ადრე გაბისკირიამ ავტობუსით სამშვიდობოს გამოუშვა ფეხბურთელები, თავად კი ქალაქში დარჩა. ვესაუბრეთ ცხუმის ფეხბურთელებს ლავრენტი გაგუასა და თეიმურაზ გადელიას. ბიჭებს იმდენად ომის წაგება არ აწუხებდათ, რამდენადაც თანამოძმეთა ღალატი, რის გარეშეც მტერი ვერ გაიმარჯვებდა. „ამირანის" მენეჯერი ადიკ დურსუნიშიც თანამოძმეთა ღალატის მხილველი გამხდარა, მან მითხრა, რომ ყველა ფეხბურთელი გადარჩა, გელა ჯოჯუას გარდა, ვისი ასავალ-დასავალიც არ იციან. დურსუნიში ყველა ოჩამჩირელს ფეხბურთის ფედერაციის შენობაში, პირველ სართულზე ელოდება ყოველდღე. აჩადარაში გმირულად დაიღუპა „ცხუმის" ექიმი იურა ხაბურზანია. ძმები ჯელაძეებ თბილისში არიან, მინდაძე — წყალტუბოში, მეკარე ქვაჩახია — ფოთში, ზოგიც ქუთაისშია, სხვა ცნობები ფეხბურთელთა შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

## თავისას არ იშლიან

სამშაბათს მსოფლიო რაგბის მამებმა მენის კუნძულზე გამართულ თათბირზე გადაწყვიტეს, რომ 1995 წლის მსოფლიოს თასის დასკვნითი სტადია მაინც სამხრეთ აფრიკაში ჩაატარონ. როგორც მამათა შორის უპატივცემულესმა, ჩრდილოირლანდიელმა იუართ ბელმა განაცხადა, რაგბის ხელისუფლები მოვალენი ვართ, მსოფლიოს თასი 1995 წელს გავმართოთო, ხოლო თუ სამხრეთ აფრიკაში საგაისო არჩევნების შემდეგ მაინც ვერ დამყარდა მშვიდობა, მაშინღა დავიწყებთ სათადარიგო ვარიანტების ძებნასო. თუ გამოუვალი ვითარება იქნა, ღონისძიება ან ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიმართება მაის-ივნისში, ანაც ინგლისსა და უელსში, ოქტომბერ-ნოემბერში.

## კამპომანესმა ჯაკარტა აღმოაჩინა

გუშინწინ ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა განაცხადა, რომ კარპოვ-ტიმანის „ტანჯული" მატჩი 16 ოქტომბერს ჯაკარტაში გაგრძელდება. მან მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა ინდონეზიის ჭადრაკის ფედერაციის თავკაცს მუჰამედ ჰასანს, რომელიც დიდი ბიზნესმენი და მთავრობასთან ერთობ დაახლოებული პირი ყოფილა. ამასობაში განდგომილები, გარი კასპაროვი და ნაიჯელ შორტი უდრტვინველად აგრძელებენ თავიანთ შეხვედრას. ბოლო ოთხი პარტია მათ ყაიმით დაამთავრეს. მსოფლიოს ჩემპიონი წინაა — 9:4.

„სარბიელი" თანამშრომლობას სთავაზობს ახალგაზრდა ჟურნალისტებს და სპორტულ ჟურნალისტიკაში ძალის მოსინჯვის მსურველთ. დარეკეთ 39 48 29

## ბეკერისა და მაკინროუს უარი

სამშაბათს კი გამოცხადდა, რომ დევისის თასის ფინალი გერმანიისა და ავსტრალიის გუნდებს შორის მასპინძელთა — გერმანელთა გადაწყვეტილებით დიუსელდორფში, თიხნარზე (მიწისსაფარიან მოედნებზე) გაიმართება 3-5 დეკემბერს. შვედეთის ძლევის შემდეგ გერმანელთა ლიდერმა მიხაელ შტიხმა დიდსულოვნად შეუნდო ბორის ბეკერს განდგომა და ფინალის სათამაშოდ ნაკრებშიც მიიწვია, მაგრამ ბეკერი კვლავ უარზე დადგა. რაც შეეხება აშშ-ის გუნდს, ტომი გორმანის კაპიტნობიდან გადადგომის შემდეგ ამ პოსტისთვის კურიეს, სამპრასსა და აგასის მიერ შეგულვებულმა ჭირვეულმა ვარსკვლავმა ჯონ მაკინროუმაც უარი თქვა აღზევებაზე.

[illegible library stamp]

# მეზებში და სტადიონებში დუმან...

მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი კვლავ შეწყდა. მტერი ჩვენს მიწა-წყალს გვეცილება, ჩვენი ბიჭები იღუპებიან. ბევრი ფეხბურთელი იბრძვის და სავსებით სწორია ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება ეროვნული ჩემპიონატის დროებით შეჩერების შესახებ. მანამდე კი რამდენიმე მწვრთნელს და ფეხბურთელს გამოველაპარაკე. საუბრის თავი და თავი, რა თქმა უნდა, დღევანდელი სიტუაცია იყო.

## გივი ნოდია, „დინამო“

**— ბატონო გივი, რას აკეთებენ ფეხბურთელები ამჟამად?**

— ბიჭები ძველებურად ვარჯიშობენ. ვარჯიშის შემდეგ კი რეზო არველაძე, ნიკა ჩხეიძე და სხვები მიდიან იმ ადგილებში, სადაც თბილისელები იკრიბებიან და გამოთქვამ[illegible]5 მზადყოფნას ლაიცვან წესრიგი ქალაქში და ფრონტზეც გაემგზავრონ.

**— თერჯოლის „საპოვნელასთან“ მატჩზე ერთბაშად ცხრა წამყვანი ფეხბურთელი არ გაემგზავრა. რა იყო ამის მიზეზი?**

— ჩვენი ჩემპიონატის დებულება იძლევა ამის საშუალებას, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები თამამად გამოვიყენოთ. თერჯოლაში ერთბაშად შვიდი ახალგაზრდა ფეხბურთელი დავაყენეთ, ეს ბიჭები ევროპის ახალგაზრდული თამაშებისთვის ემზადებიან და კალენდარულ მატჩში საკმაოდ კარგ გამოცდილებას მიიღებენ. ახალგაზრდებს მომავალშიც თამამად გამოვიყენებთ.

**— სად იმყოფება ამჟამად კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია?**

— მერაბი ამჟამად გერმანიაში იმყოფება კლუბის საქმეებზე.

**— ვარჯიშებს კვლავინდებურად განაგრძობთ?**

— სხვა რა გზა გვაქვს, უნდა ვივარჯიშოთ, ვარჯიშის მერე კი ჩვეულებრივ, თბილისელთა შეკრების ადგილისკენ...

## ვლადიმერ ხაჩიძე, „ივერია“

**— ბატონო ვოვა, როგორ იმოქმედა ომმა თქვენს ქალაქზე?**

— როგორც ყველგან, ჩვენთანაც იკრიბებოდა ლაშქარი და მიდიოდა აფხაზეთში საომრად.

**— „ივერია“ რას საქმიანობს?**

— „ივერია“ ვარჯიშობს, ჯერ თამაშები არ არის და თუ გაგრძელდა ჩემპიონატი, ყოველმხრივ მზადყოფნაში შევხვდებით.

**— თქვენი აზრით, უნდა გაგრძელდეს ჩემპიონატი?**

— ალბათ უნდა გაგრძელდეს. დღეს საქართველოში, ჩემი აზრით, ყველაფერთან შედარებით ყველაზე მაღალი ხარისხის ფეხბურთი და ფეხბურთელები დაგვრჩა, ამიტომ საფეხბურთო ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. ფეხბურთი კუპონის დონეზე არ უნდა დავიყვანოთ, პირიქით, უნდა ვეცადოთ მაღალი კლასი შევუნარჩუნოთ მას.

**— თქვენი მიზანი რა იყო წელს?**

— ხუთეულში გვინდოდა მოხვედრა და თასზეც ასე თუ ისე ღირსეულად გამოსვლა. სეზონის დასაწყისში უკანა ხაზი მთლიანად გამოვცვალეთ: დავიმატეთ მჭედლიშვილი (რკონი), ჯიკაევი (შირაქი), მაქაცარია (ანცი), მარღიშვილი (დილა). ჯერჯერობით წინა ხაზზე გვიჭირს.

**— ხალხი თუ დადის სტადიონზე?**

— დადიან. ახლა ოფიციალური თამაშები დროებით არ არის, ამიტომ შევეცდებით ამხანაგურები მაინც ვითამაშოთ, რათა ეს ვაკუუმი რამენაირად ამოვავსოთ.

## აკაკი დევაძე,



„კოლხეთი 1913“

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე თბილისელი აკაკი დევაძე „შევარდენი 1906“-დან „კოლხეთი 1913“-ში გადავიდა, სადაც უკვე მოეყარათ თავი ცომაიას, დარასელიას, მაჭავარიანს და სხვა ძლიერ ფეხბურთელებს. ფოთელებმა [illegible]მა ?თლაც ძლიერად დაიწყე[illegible] თამაში და [illegible]ლიდერთა შორის აღმოჩნდნენ.

**— აკაკი, ძლიერი ფეხბურთელები სხვა გუნდებშიც არიან, მაგრამ ალბათ მ[illegible]რტო ეს არ შველის საქმეს.**

— რა თქმა უნდა, მთავარი მაინც მთავარი მწვრთნელია. გიგლა იმნაძე (მეტსახელად „ჯიმი“) ყველაზე ძლიერი მწვრთნელი და პიროვნებაა მათ შორის, ვისთანაც აქამდე ვყოფილვარ. მისი ვარჯიშები, დიდი დატვირთვის მიუხედავად, სასალისოა. ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, მაგრამ დაღლას არავინ გრძნობს. ჩვენთან ორმხრივი თამაში ისეთი შეუპოვრობით მიდის, რომ ვარჯიშის ბოლოს ვინმე აუცილებლად საავადმყოფოში მიჰყავთ. მე ბუცით ქუთუთოც კი ჩამომახიეს. მოკლედ, ვარჯიშიც ფრონტია. მეკარეთა შორისაც დიდი კონკურენციაა, მამუკა გვასალია მაღალი კლასის მეკარეა და მისი ჯობნა იოლი საქმე არ არის, ამიტომაც თავდაუზოგავად ვვარჯიშობ. გიგლა იმნაძე თავად ყოფილი მეკარეა და სპეციალურ მომზადებას იგი გვიტარებს. ისე მივეჩვიე მას, რომ რომელ გუნდშიც არ უნდა წავიდეს, მუდამ თან გავყვები.

**— ფოთში რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— თუ უეფა-ს ტურნირზე გავედით, მეორე სეზონსაც იქ დავრჩები.

**— თვითონ მწვრთნელი კმაყოფილია გუნდის თამაშით?**

— მისი აზრით, სასურველ ფორმას ჯერ ვერ მივაღწიეთ, თუმცა ძირითად კონკურენტებს — „ბათუმსა“ და „გურიას“ საკმაოდ კარგად ვეთამაშეთ.

**— თასზე თელავის „კახეთთან“ მეთოთხმეტე ნომრით მჭდარხარ სათადარიგო სკამზე...**

— იმ თამაშზე ბევრი ტრავმირებული გვყავდა და იძულებული ვიყავი, მინდვრის მოთამაშის მაისური ჩამეცვა. გული მიგრძნობდა, რომ გამოვსულიყავი, უეჭველად გოლს გავიტანდი, მაგრამ აღარ გახდა ჩემი გამოსვლა საჭირო.

**— სექტემბერში „ფოთის დაცვის“ დროს სად იყავი?**

— ქალაქში, სადაც ყოველ საღამოს მესმოდა ბათქა-ბუთქი. ფოთის დამცველ ბიჭებს ველაპარაკე, გაოგნებულები იყვნენ, ქართველები მოდიან შეტევაზე და როგორ ვესროლოთო. მართლაც, როგორ უნდა ესროლო ქართველს?

## მალხაზ ალავიძე „კახეთი“

მალხაზ ალავიძე თბილისელი ბიჭია. ჯერ „მგლებში“ გამოდიოდა, შემდეგ „მერანში“, მერე თბილისიდან გადაბარგდა და „გურიას“ ღირსებას იცავდა, წელს კი თელავის „კახეთის“ მაისური მოიზომა. თითქმის ყველა ამპლუაში აქვს ნათამაშევი და ხშირად გოლებიც კი გააქვს.

**— მალხაზ, ლანჩხუთიდან რატომ წამოხვედი?**

— რა პირობებზეც მიმიწვიეს, არ შეასრულეს. თუმცა მაინც არა ვარ ნაწყენი ლანჩხუთელებზე — დიდი სკოლა იყო ჩემთვის, თანაც გურულები, მოგეხსენებათ, ძალზე კეთილი და გულღია ხალხია.

**— თელავში რა მიზნები გაქვს?**

— გუნდს ჰყავს ძლიერი სპონსორი ბატონი გოგა ხაინდრავას სახით, ახალგაზრდა, ნიჭიერი მწვრთნელი — ჯემალ მახარაშვილი, რომელიც ფანატიკურადაა ფეხბურთზე შეყვარებული. მოთამაშეებიც საკმაოდ ძლიერები გვყავან, ახლა ისლანდიიდან კალუჟაც დაგვემატა. მოკლედ, ხუთეულში ალბათ უეჭველად მოვხვდებით, შემდეგ კი სამეულზე ვიფიქრებთ.

**— შენი აზრით, გუნდის სუსტი წერტილი სად არის?**

— უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ბურთის კოლექტიურ ართმევას. ბურთს რომ დავკარგავთ, ყველა არ იბრძვის მის დასაბრუნებლად. ძალიან ტექნიკური ბიჭები არიან, მაგრამ ბურთისთვის ბრძოლა თუ არ ვისწავლეთ, არაფერი გამოგვივა.

**— დღევანდელ სიტუაციაზე რას იტყვი?**

— ქართულ ფილმებში რომაა, ისე ხდება: საქართველოს ისევ ქართველები ვღუპავთ...

მამუკა კვარაცხელია

---

ექვს თვეს იმყოფებოდნენ თელავის „კახეთის“ თავდამსხმელი ირაკლი კალუჟა და ვანძს „სულორის“ ნახევარმცველი დავით პაიკიძე ისლანდიაში, ქალაქ გარდაბაიერის ფ.კ. „სტეარნანში“. ადრე ამ კლუბში „დინამოს“ ახლანდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გამოდიოდა და ისე კარგად დაამახსოვრა თავი ისლანდიელებს მინდვრის შიგნითა თუ მის გარეთ, რომ მისი რეკომენდაციით ისლანდიელებმა უსიტყვოდ მიიღეს კლუბში ზემოთხსენებული ორი ფეხბურთელი. ირაკლი კალუჟა ხუთიოდე დღის ჩამოსულია და დიღმის ბაზაზე გადის მზადებას. ჩვენი ინტერვიუც იქ შედგა.

# ქართველები ისლანდიაში



ირაკლი კალუჟა და [illegible] პაიკიძე „სტეარნანში“

**— ირაკლი, ორიოდე სიტყვით მოგვიყევი ისლანდიის ჩემპიონატის შესახებ.**

— ისლანდიაში სამი საფ[illegible]თო ლიგაა: პირველ[illegible], მეორე და მ[illegible]. თითოეულში 10 10 [illegible]დია. ჩემ[illegible]ნატი აპრილში იწყება და სექტემბერში მთავრდება. ჩვენი კლუბი მეორე ლიგაში გამოდიოდა და მისი მიზანი პირველი ლიგის საგზურის მოპოვება იყო.

**— მიაღწიეთ მიზანს?**

— მე და დათო 14 აპრილს ჩავედით ისლანდიაში, ერთ კვირაში ჩემპიონატიც დაიწყო. მე 8 თამაში ვითამაშე 18-დან, დათომ — 16. 11 თამაში მოვიგეთ, 4 ფრედ ვითამაშეთ და მხოლოდ სამჯერ დავმარცხდით, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა პირველი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად.

**— გოლები არ გაგიტანიათ?**

— დათო ნახევარდაცვაში თამაშობდა და საგოლე პასებით ამარაგებდა თავდამსხმელებს, მე წინ ვთამაშობდი, მაგრამ იძულებული ვიყავი თავად მიმეცა პასები, რადგან არ ვიცი შურისა თუ რის გამო, ისლანდიელები პასებს არ მაწვდიდნენ.

**— რატომ უნდა შეშურებოდათ?**

— იქ ხომ მოყვარულები თამაშობენ, ხელფასს არავინ იღებდა ჩვენს გარდა, ამიტომაც ცუდად იყვნენ ჩვენდამი განწყობილები და ერთხელ ვარჯიშზე თანაგუნდელმა ისე მომარტყა კოჭში ფეხი, საავადმყოფოში დამაწვინეს და რამდენიმე თამაში გამოვტოვე კიდეც.

**— როგორ პირობებში ცხოვრობდით?**

— მე და დათოს ერთი სახლი მოგვცეს, იაპონური მანქანაც გვემსახურებოდა, ხელფასს 1200-1200 დოლარს ვიღებდით. ისლანდია ძალიან ძვირი ქვეყანაა და მთელი ფული საკვებსა და აქეთ-იქით სიარულში გვეხარჯებოდა. იქაურები შეძლებულად ცხოვრობენ, თევზსა და ცხვარზე აკეთებენ დიდ ბიზნესს.

**— ენა თუ შეისწავლეთ?**

— მე ვერა, დათომ ისწავლა ცოტა ისლანდიური, ძირითადად ინგლისურად ვსაუბრობდით.

**— სხვა უცხოელი თუ ჰყავდა „სტეარნანს“?**

— ჩვენს კლუბს არა, მაგრამ ლიგაში ათამდე იუგოსლავი თამაშობდა, ზოგიერთი ფულს არც იღებდა ფეხბურთში, სხვაგან მუშაობდა. მწვრთნელი ადგილობრივი გვყავდა, ლაუსი ერქვა, სხვათა შორის, ისლანდიაში უცნაური წესია, კაცის გვარი მამამისის სახელისაგან წარმოსდგება, მხოლოდ „სონ“-ს დაუმატებენ და მორჩა.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებდით?**

— ჩვენს ქალაქში ოთხიათასამდე კაცი ცხოვრობდა. მადლობა ღმერთს, რამდენიმე რუსი ხელბურთელიც თამაშობდა კონტრაქტით და ძირითადი დრო მე და დათო მათთან ვიყავით ხოლმე. ჩვენდა საბედნიეროდ, იქ რამდენიმე თვეს ცხოვრობდა თბილისელი კაცი გრიგოლ მაჭავარიანი, ისლანდიური ენის მცოდნე, მან ისლანდიურად გადათარგმნა „შუშანიკის წამება“ და სხვა ნაწარმოებები. ქართულადაც თარგმნიდა ისლანდიურ პროზას. მასთან ხშირად ვიყავით სტუმრად. თავისუფალ დროს ექსკურსიებს ვუთმობდით: მართლაც საოცარი ქვეყანაა ისლანდია, გეიზერები, ჩანჩქერები, სამოთხეში გვეგონა თავი.

**— აფხაზეთის ომზე რას ამბობდა იქაური პრესა და ტელევიზია?**

— იქ პირდაპირ აჩვენებდნენ კადრებს, სადაც ნათლად ჩანდა, რომ საქართველოს რუსეთი ეომებოდა. თითქმის ყველა გადაცემაში ამართლებდნენ ქართველებს და აფხაზებს ამტყუნებდნენ.

**— კიდევ რა მოგეწონა ისლანდიაში?**

— საოცრად მშრომელი ხალხია. სულ 250 000 არიან ისლანდიელები, მაგრამ ასეთი მწირი მიწის პატრონებმა საოცარ შედეგებს მიაღწიეს. ჩვენს თვალწინ ვულკანურ ლავას იღებდნენ, ზედ მიწას დააყრიდნენ და ორიოდ საათში უკვე შიგნით მწვანე ხეები იყო ჩარგული. მიწის ყოველ კვადრატულ მეტრს უფრთხილდებიან.

**— რატომ არ დარჩით შენ და პაიკიძე?**

— ველარ გავძელით უსაქართველოდ. სულ თეთრი ღამეები იყო. ცივი ხალხია და ცივი ბუნება. მხოლოდ სამი დღე იყო თორმეტი გრადუსი სითბო და იმათთვის ეს თურმე ცხელი ამინდი ყოფილა. მუდამ შვიდი გრადუსი სითბო იდგა, მიუხედავად ამისა იქაურები ძალზე შილიფად ჩაცმულნი დაიარებოდნენ. ძალზე უკომპლექსო ხალხია. სხვათაშორის, ამერიკელებს აქ კოსმოდრომი ჰქონდათ და ასტრონავტებს წვრთნიდნენ.

**— ლევან ბარათაშვილმა მითხრა, რომ იქ დანაშაული საერთოდ არ ხდება...**

— მართალია. ციხეში ერთადერთი კაცი იჯდა, ისიც იმიტომ, რომ წყლის მილი გაუხეთქავს შემთხვევით და სახლი დაუნგრევია. მაგრამ განა შეიძლება ციხეში ჯდომა დავუძახოთ, როცა შაბათ-კვირას შინ უშვებენ და 400 დოლარს ატანენ გზის ფულად...

**— მერაბ ჟორდანიას ნახევარწლიან კარიერაზე რას ამბობენ?**

— მერაბს იქ ძალზე დიდ პატივს სცემენ. სპეციალური სტენდიც კი აქვთ გაკეთებული მის პატივსაცემად. თითქმის ყველა [illegible]აში იყო მერაბი დაპატიჟებული. იხსენებენ მის ბრწყინვალე თამაშსაც...

**— ახლა რას აპირებ?**

— თუ ჩემპიონატი განახლდა, „კახეთში“ გავაგრძელებ თამაშს, [illegible] და რასაც ჩემი ხალხი იზამს, მეც [illegible] გზას დავადგები.

მამუკა კვანტალიანი

---

### დასავლეთი. X ტური

| | |
|---|---|
| სამტრედია | 2 |
| ოდიში | 0 |

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი
24 სექტემბერი

სამტრედია: მიქაძე (თოდაძე 80), იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, წულაია, ამაშუკელი, გენძეხაძე (ქყონია 72), ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია

ოდიში: ქანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, გაფრინდაშვილი, გაბედავა, კვარაცხელია, გუგუჩია, დარასელია, ქაძანაია, ნიტაიშვილი (კუტალია 70)

1:0 გენძეხაძე (15)
2:0 იონანიძე (75)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 9 | 6 | 1 | 2 | 21-8 | 19 |
| სამტრედია | 7 | 5 | 1 | 1 | 16-7 | 16 |
| გურია | 7 | 5 | 0 | 2 | 25-9 | 15 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-7 | 13 |
| ტორპედო | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-10 | 7 |
| ცხუმი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-16 | 6 |
| ოდიში | 6 | 1 | 2 | 3 | 10-15 | 5 |
| მზიური | 8 | 1 | 2 | 5 | 8-22 | 5 |
| ამირანი | 6 | 0 | 4 | 2 | 12-16 | 4 |
| სამგურალი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-16 | 3 |

### აღმოსავლეთი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 8 | 0 | 0 | 33-6 | 24 |
| მარგვეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 18-10 | 16 |
| შევარდენი | 8 | 5 | 0 | 3 | 16-13 | 15 |
| კახეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-11 | 14 |
| მალაროელი | 8 | 4 | 1 | 3 | 15-16 | 13 |
| საპოვნელა | 9 | 3 | 1 | 5 | 12-15 | 10 |
| ერქვანი | 8 | 2 | 4 | 2 | 13-15 | 10 |
| ივერია | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| დილა | 8 | 2 | 0 | 6 | 6-14 | 6 |
| მეტალურგი | 9 | 2 | 0 | 7 | 9-25 | 6 |
| მრეტები | 7 | 1 | 0 | 6 | 3-21 | 3 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით საქართველოს ჩემპიონატი ყველა ჯგუფში და თასის გათამაშება გაურკვეველი ვადითაა შეჩერებული

### სტატისტიკა. X ტური

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 7* | 3 | 10 | 81 |
| გოლი | 15 | 10 | 25 | 286 |
| საშუალო შედეგიანობა | 2,14 | 3,33 | 2,50 | 3,53 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 13-7 | 9-0 | 22-7 | 164-65 |
| პროცენტულად | 65-35 | 100-0 | 76-24 | 72-28 |
| ბურთები | 9-6 | 9-1 | 18-7 | 190-96 |
| პროცენტულად | 60-40 | 90-10 | 72-28 | 66-34 |
| გაძევება | 1-0 | — | 1-0 | 2-6 |
| გაფრთხილება | 1-4 | — | 1-4 | 36-47 |
| პენალტი | 0-1 | 1-1 | 1-2 | 23-12 |
| გამოყენებულია | 0-1 | 1-1 | 1-2 | 20-8 |
| დიდი ანგარიში | — | 2 | 2 | 26 |
| „ჰეთ-თრიქი“ | — | 1 | 1 | 6 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 137 | 76 | 213 | 363 |
| დებიუტანტები | 4 | — | 4 | 79 |

* აღმოსავლეთში X ტურის 4 მატჩის გარდა გაიმართა ერთი XI ტურის და IV და V ტურებში თითო გამოტოვებული შეხვედრა

„ჰეთ-თრიქი“ გააკეთა ბათუმელმა ხომერიკმა. 2-2 გოლი გაიტანეს ალადაშვილმა (მეტალურგი) და ნოზაძემ (ტორპედო)

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| მერაბ მეგრელაძე | „მარგვეთი“ | 12 |
| კახა გოგოლაძე | „გურია“ | 8 |
| ოთარ კორღალიძე | „გურია“ | 8 |
| არჩილ არველაძე | „დინამო“ | 8 |
| პაატა მაჭუტაძე | „ბათუმი“ | 7 |
| გელა გაბისონია | „ამირანი“ | 7 |
| ბახვა ამბიძე | „შუქურა“ | 7 |
| შოთა არველაძე | „დინამო“ | 6 |
| ლევან ხომერიკი | „ბათუმი“ | 6 |

მოედნიდან გააძევეს თელაველი ტოგონიძე. მეოთხე გაფრთხილება მიიღო რობაქიძემ (ივერია), მესამე — ქორიძემ, მეორე — ბახტაძემ (ორივე მრეტები), კაციტაძემ (კახეთი).

მეასე მატჩი ითამაშეს პირველ ჯგუფში მეტრეველმა (მეტალურგი), ნემსაძემ (დინამო), ინიაშვილმა (ერქვანი).

რევაზ შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# «მილანი» თბილისში უნდა ჩამოსულიყო!

მიუხედავად არაერთი მოულოდნელი შედეგისა, ევროთასების პირველმა წრემ ფავორიტი ქვეყნების კლუბებისთვის მშვიდობიანად ჩაიარა. იტალიამ, გერმანიამ, ესპანეთმა და ინგლისმა უდანაკარგოდ გაირეს ეს ეტაპი. განსაკუთრებით გამოვყოფთ გასულ კვირას ესპანური კლუბების თამაშს: მათ ექვსივე თამაში მოიგეს ბურთების საუცხოო სხვაობით — 17:2.

ჩემპიონთა თასზე ზოგიერთი სტუმარი გუნდისთვის უბედური აღმოჩნდა მატჩის ბოლო, 90-ე წუთი. ასე, „გლაზგო რეინჯერსი", რომელსაც წინა გათამაშებაში შეხვედრა არ წაუგია, ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა ყაიმს სოფიაში, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე ოციოდე წამით ადრე ნიკოლაი ტოდოროვმა 30 მეტრიდან ალალბედზე დაარტყა, „რეინჯერსის" მეკარე ალექს მაქსველს ბურთმა თავს ზემოთ გადაუფრინა და კარში შევარდა. ასევე ბოლო წუთამდე თავი ქუდში ჰქონდა ჩვენს ნაცნობს, ბელფასტის „ლინფილდს", მაგრამ ჯერ პეიერმა საჯარიმო დარტყმით, დამატებით დროში კი შეცვლაზე შემოსულმა მიკელსენმა მეორედ გამოაგდეს „ლინფილდი" წლევანდელი ჩემპიონთა თასიდან. ევროთასების ისტორიაში ეს 39-ე შემთხვევაა, როცა გუნდმა სამი ან მეტბურთიანი სხვაობა „ამოქაჩა" და შემდეგ წრეში გავიდა. მერვედფინალში „კოპე ჰაგენს" „მილანი" შეხვდება. ბევრი გაიფიქრებს, წესით „მილანთან" ჩვენ უნდა გვეთამაშაო. მართლაც კარგი იქნებოდა, ახლა იმაზე ვილაპარაკა, ვან ბასტენი ჩამოვა თბილისში თუ არაო. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენს ქალაქში სხვა ვინმეების, ვან ბასტენს რომ სულ არ ჰგვანან, ჩამოსვლაზეა ლაპარაკი...

შესანიშნავად ითამაშა „ბარსელონამ" და მისმა ლეგიონერებმა: კუმანმა, ლაუდრუპმა და რომარიომ. ბრაზილიელი კიევში არ თამაშობდა, თორემ კატალონელთა გასვლა შემდეგ წრეში ასე საეჭვო არ გახდებოდა. მასპინძლებს ბარე ოცამდე საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა კიეველთა მეკარე კუტეპოვი, თუმცა მანაც ვერ უშველა სტუმრებს. ლაუდრუპმა, ბაკერომ ორჯერ და კუმანმა საჯარიმო დარტყმით „ბარსელონა" დიდ ფინანსურ ზარალს გადაარჩინეს — წაგებით კლუბი 15 მილიონ დოლარამდე შემოსავალს კარგავდა. მოულოდნელად შინ დამარცხების შემდეგ მერვედფინალში გავიდა ბუქარესტის „სტიაუა", რომელმაც სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში დაამარცხა ხორვატიის ჩემპიონი. წილისყრამ უეფა-ს საკმაო საზრუნავი შემატა, ვინაიდან ჩემპიონთა ლიგაში გასვლის დიდი შანსი აქვს მოსკოვის „სპარტაკს", უეფა-ს კი ლიგის თამაშების აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარება ნაღდად არ აწყობს. გაიხსენეთ შარშან მარტში „ლუჟნიკების" მდგომარეობა. ანდა მოსკოვში ღამის 11-ის წაზევრზე თამაშის დაწყება როგორია?

თასების თასზე საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ტორინო", თუმცა სტუმრად მოგების წყალობით მაინც გავიდა მერვედფინალში. სიურპრიზი ელოდა უნგრეთის „ვაცს". მას კვიპროსის თასის მფლობელმა ჯერ ... ორბურთიანი სხვაობა გაუბათილა, დამატებით დროში კი კიდევ ორი დაუმატა. ამ ტურნირში ყველაზე დიდი ანგარიში ამსტერდამში აღინიშნა, სადაც „აიაქსმა" ხორვატების თასის მფლობელი გაანადგურა. რონალდ დე ბურის გოლი მე-300 გამოდგა „აიაქსისთვის" ევროტურნირების ისტორიაში. ჰოლანდიელები არ დასჯერდნენ ამას, ... მატჩის ბოლომდე 5 ბურთით წაიღეს შემდეგ „იუბილეუმი"- საინ-



ერიკ კანტონა (მარჯვნივ) და ატილა პლოკაი „მანჩესტერ იუნაიტედ" — „ჰონვედის განმეორებით მატჩში

ტერესო ფაქტი მოხდა ხაიფის „მაკაბის" და მოსკოვის „ტორპედოს" მატჩის დღეს. თვად შეხვედრა დაგეგმილზე სამი საათით ადრე დაიწყო, ვინაიდან ებრაელთა მეკარეს რაფიკ კოენს ზუსტად იმ საღამოს... ქორწილი ჰქონია. თანაგუნდელებმა კოენს საქორწილო საჩუქარი მიუძღვნეს და 3:1 გაიმარჯვეს. აღნიშვნის ღირსია, რომ „მაკაბის" მეორე მწერთნელია ანდრეი ბალი, მეორე ბურთი რუსების კარში კი ხარკოვის „მეტალისტის" ყოფილმა მცველმა პეცმა გაიტანა.

უეფა-ს თასზე პანტაპუნტით გამოცვივდნენ რუსული გუნდები, რაც დღევანდელ სიტუაციაში ჩვენთვის ერთობ სასიხარულო საქმეა (თუმცა, ვისთვის როგორ). მოსკოვის



„ჰეთ-თრიქის" ავტორი ბებეტო (ლა კორუნია)

„ლოკომოტივს" ტრაპატონიმ გაუგო, რისი მაქინისიც იყ და ნახევარი გუნდი შინ დატოვა. მოსკოვს არ ჩავიდნენ რობერტო ბაჯო და ვიალი და როგორც აღმოჩნდა, გადარჩნენ ტალახში გორაობას. „იუვენტუსმა" იმ თოვლჭყაპშიც მოუგო მოსკოველებს. 150 ათასი თხოვნა მიუღია ვლადიკავკაზის სტადიონის ადმინისტრაციას — თამაშზე ბილეთი მოგვეცითო. მხოლოდ 35 ათასი კაცი დაესწრო მატჩს, რომლის ოსეთში ჩატარებაც თავიდან ეჭვს იწვევდა ქალაქში და საერთოდ რეგიონში შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და ჩვენი არ იყოს, ოსებმაც ყველაფერი გააკეთეს მატჩის ნორმალურად ჩატარებისთვის. სტეფან შაპუიზამ 61-ე წუთზე ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგა, თუმცა „სპარტაკის" ყველაზე სახიფათო თავდამსხმელმა, აზერბაიჯანის ნაკრებში მოთამაშე ნაზიმ სულეიმანოვმა საკმაოდ აპამპულავა დორტმუნდელი მცველები, მაგრამ ეს იყო და ეს: მოსკოვის „დინამომ", ბევრისთვის მოულოდნელად, აღარ წააგო საშინელი ანგარიშით. ის კი არადა, მოიგო კიდეც, თუმცა კახი ცხადაძეს და მის თანაგუნდელებს მონდომების ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ. ისინი შემდეგ წრეში გავიდნენ, სადაც კვლავ ყოფილი საბჭოთის გუნდს, ამჯერად უკრაინის „დნეპრს" შეხვდებიან. „დნეპრმა" მეორე მატჩიც მოუგო „ადმირა ვაკერს". ასევე მეორედ მოიგო მილანის „ინტერმა", რომელსაც ბერხკამპის „ჰეთ-თრიქით" ჰქონდა შინ მოგებული. ამჯერად თავი მეორე ჰოლანდიელმა ვიმ იონკმა გამოიჩინა, როცა 30 მეტრიდან თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი რუმინელთა მეკარეს. „კუუსისიმ" მეორე მატჩიც მოუგო „ვარეგემს", რომელსაც მსაჯმა პოლონელი ურბანი გაუგდო და მხოლოდ ამის შემდეგ გაიტანეს ფინელებმა ორი გოლი. დამატებით დროში მოიგო „სელტიკმა". ის, რაც 210 წუთის მანძილზე ვერ შეძლეს შოტლანდიელებმა, შვეიცარელმა ბაუმანმა გააკეთა: გოლი გაუტანა საკუთარ მეკარეს.

ზურაბ მეძველია

პარასკევს მომდევნო ეტაპის წილისყრა გაიმართა. გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**ჩემპიონთა თასი. მერვედფინალი**
„პორტუ" — „ფეიენოორდი"
„მონაკო" — „სტიაუა"
„ლეხი" — „სპარტაკი"
„ლევსკი 1914" — „ვერდერი"
„კოპენჰაგენი" — „მილანი"
„სპარტა" — „ანდერლეხტი"
„მანჩესტერ იუნ." — „გალათასარაი"
„ბარსელონა" — „აუსტრია"

**თასების თასი. მერვედფინალი**
„ბეშიქთაში" — „აიაქსი"
„პარმა" — „მაკაბი"
„ტიროლი" — „რეალი"
„ტორინო" — „აბერდინი"
„ბენფიკა" — ც.ს.კ.ა.
„არსენალი" — „სტანდარდი"
„პარი სენ-ჟერმ." — „უნივერსიტატია"
„პანათინაიკოსი" — „ბაიერი"

**უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი**
„ლაციო" — „ბოავიშტა"
„კონგსვინგერი" — „იუვენტუსი"
„მეხელენი" — მ.ტ.კ.
„ტენერიფე" — „ოლიმპიაკოსი"
„ატლეტიკო" — ო.ფ.ი.
„ბაიერნი" — „ნორვიჩ სიტი"
„ბორდო" — „სერვეტი"
„სელტიკი" — „სპორტინგი"
„ტრაბზონსპორი" — „კალიარი"
„ვალენსია" — „კარლსრუე"
„ინტერი" — „აპოლონი"
„აინტრახტი" — „დნეპრი"
„კაზინო" — „ანტვერპენი"
„კუუსისი" — „ბრონდბიუ"
„ლა კორუნია" — „ასტონ ვილა"
„ბორუსია" — „ბრანიკი"

**თამაშები — 20 ოქტომბერს და 3 ნოემბერს**

## ჩემპიონთა თასი

მეთექვსმეტედფინალი

სამშაბათი, 28 სექტემბერი

„კროაცია" ხორვატია — „სტიაუა" რუმინეთი 2:3 (2:1)
ვლაოვიჩი (7), აზიჩი (71); პანდურუ (40), ვლადოიუ (49, 61)

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი

ა.ე.კ. საბერძნეთი — „მონაკო" საფრანგეთი 1:1 (0:1)
სლიშკოვიჩი (12); ჯორკაეფი (5)
„მილანი" იტალია — „არაუ" შვეიცარია 0:0 (1:0)
„ლევსკი 1914" ბულგარეთი — „რეინჯერსი" შოტლანდია 2:1 (2:3)
სირაკოვი (36), ტოდოროვი (90); დარანტი (44)
„ფლორიანა" მალტა — „პორტუ" პორტუგალია 0:0 (0:2)
„ფეიენოორდი" ჰოლანდია — „აკრანესი" ისლანდია 3:0 (0:1)
რეფოსი (25), ობიკუ (65), ბლინკერი (83)
„კორკ სიტი" ირლანდია — „გალათასარაი" თურქეთი 0:1 (1:2)
კუბილაი (76)
„აუსტრია" ვენა, ავსტრია — „რუსენბორგი" ნორვეგია 4:1 (1:3)
ნარბეკოვასი (12), შმიდი (50), ჩაკი (74), კოგლერი (81); დალუმი (32)
„მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისი — „ჰონვედი" უნგრეთი 2:1 (3:2)
[illegible] (55, 64); სალოი (78)
„[illegible]" შვეიცარია — ა.ი.კ. შვედეთი 2:0 (0:1)
[illegible] (15, 80)
„ბარსელონა" ესპანეთი — „დინამო" კიევი, უკრაინა 4:1 (1:3)
ლაუდრუპი (8), ბაკერო (16, 47), კუმანი (67); რებროვი (28)
„ბეითარი" ისრაელი — „ლეხი" პოლონეთი 2:4 (0:3)
ოჰანა (11), შვარცი (72); ვილკაშიკი (4), შეჩიკი (23), ბროიანა (31), ტაპინსკი (70)
„ანდერლეხტი" ბელგია — ჰ.ი.კ. ფინეთი 3:0 (3:0)
ნილისი (16, 21, 42)
„სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი — „სკონტო" ლატვია 4:0 (5:0)
ციმბალარი (4, 40), პისარევი (15), ონოპკო (87)
„დინამო" მინსკი, ბელარუსი — „ვერდერი" გერმანია 1:1 (2:5)
ბელკევიჩი (40); რუფერი (79 პ)
„კოპენჰაგენი" დანია — „ლინფილდი" ჩრდილოეთ ირლანდია 4:0 დ.დ. (0:3)
ნიოლერი (2), იოჰანსენი (26), პეიერი (90), მიკელსენი (98)

## თასების თასი

მეთექვსმეტედფინალი

სამშაბათი, 28 სექტემბერი

„პარი სენ-ჟერმენი" საფრანგეთი — „აპოელი" კვიპროსი 2:0 (1:0)
ლე გუენი (1), გრაველენი (32)
„პარმა" იტალია — „დეგერფორსი" შვედეთი 2:0 (2:1)
ბალკრი (2), ბროლინი (67)
„მაკაბი" ხაიფა, ისრაელი — „ტორპედო" მოსკოვი, რუსეთი 3:1 (0:1)
მიზრახი (6), პეცი (71), პოლცმანი (85); კალაჩევი (12)
„კარდიფ სიტი" უელსი — „სტანდარდი" ბელგია 1:3 (2:5)
ჯეიმსი (59); ვილმოტსი (14), ლასაჟი (36), ბისკონტი (50)

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი

„ბობი" ჩეხეთი — „ბაიერი" ლევერკუზენი, გერმანია 0:3 (0:2)
კირსტენი (15), ფიშერი (59), ვორნსი (76)
„აბერდინი" შოტლანდია — „ვალიური" ისლანდია 4:0 (3:0)
მილერი (1), ჯესი (60, 69), ირვინი (65)
„ტორინო" იტალია — „ლილესტრიომი" ნორვეგია 1:2 (2:0)
სილენცი (45); სინიგალია (48, საკ. კარში), მიოლდე (58)
„არსენალი" ინგლისი — „ოდენსე" დანია 1:1 (2:1)
კემპბელი (52); ა. ნილსენი (86)
„ფერენცვაროში" უნგრეთი — „ტიროლი" ინსბრუკი, ავსტრია 1:2 (0:3)
დეტარი (50); ვესტერტალერი (19, 90)
„ლუგანო" შვეიცარია — „რეალი" მადრიდი, ესპანეთი 1:3 (0:3)
სუბიატი (65); იერო (40), სამორანო (80, 89)
„შელბურნი" ირლანდია — „პანათინაიკოსი" საბერძნეთი 1:2 (0:3)
მუნი (86); გეორგედისი (26), სარავაკოსი (57)
გ.კ.ს. კატოვიცე, პოლონეთი — „ბენფიკა" პორტუგალია 1:1 (0:1)
კუჩი (45); ვიტორ პანეირა (70)
„ბეშიქთაში" თურქეთი — „კოშიცე" სლოვაკეთი 2:0 (1:2)
მეთინ თექინი (44, 72)
„პაფნარი" ტორსჰავენი, ფარერები — „უნივერსიტატია" რუმინეთი 0:3 (0:4)
განე (27, 33), ვასკ (76)
„ბალცერსი" ლიხტენშტეინი — ც.ს.კ.ა. ბულგარეთი 1:3 (0:8)
ტუსპერი (63); ანდონოვი (32), ტანევი (58), ტირიტი (90)
„აიაქსი" ჰოლანდია — „ჰაიდუკი" ხორვატია 6:0 (0:1)
რ. დე ბური (11), დევიდსი (36, 76), ლიტმანენი (57), ფ. დე ბური (61), პეტერსონი (71)

## უეფას თასი

ფცდამეთორმეტედფინალი

სამშაბათი, 28 სექტემბერი

„ატლეტიკო" მადრიდი, ესპანეთი — „ჰარტსი" შოტლანდია 3:0 (1:2)
პედრო გონსალესი (35), მანოლო სანჩესი (72), ლუის გარსია (78)
„სერვეტი" შვეიცარია — „კრუზეიდერსი" ჩრდ. ირლანდია 4:0 (0:0)
და სილვა (57), დანლოპი (58, საკ. კარში), გალანცა (60, 63)
„ბოავიშტა" პორტუგალია — „უნიონი" ლუქსემბურგი 4:0 (1:0)
ოლივეირა (18, 26), მარლონ ბრანდაუ (30 პ), ოვუბოკირი (86)
„ლა კორუნია" ესპანეთი — „ოლბორგი" დანია 5:0 (0:1)
ბებეტო (18, 51, 71), კლაუდიო ბარაგანი (66, 88)
„ბორდო" საფრანგეთი — „ბოჰემიანსი" ირლანდია 5:0 (1:0)
ზიდანი (22), ვერკრუისი (24, 87), პაი (60), ფოფანა (67)
„მარიტიმუ" პორტუგალია — „ანტვერპენი" ბელგია 2:2 (0:2)
ატორი (66), ვადუ (77); სევერეინსი (37), სეგერსი (42)
ჰ.ს.ვ. ეინდჰოვენი, ჰოლანდია — „კარლსრუე" გერმანია 0:0 (1:2)
„დუნაისკა სტრედა" სლოვაკეთი — „კაზინო" ავსტრია 0:2 (0:2)
შტადლერი (19), ჰფაიფენბერგერი (58)
„სპარტაკი" ვლადიკავკაზი, რუსეთი — „ბორუსია" დორტმუნდი, გერმანია 0:1 (0:0)
შაპუიზა (61)
„ლოკომოტივი" მოსკოვი, რუსეთი — „იუვენტუსი" იტალია 0:1 (0:3)
მაროკი (53)
„დანდი იუნაიტედი" შოტლანდია — „ბრონდბიუ" დანია 3:1 დ.დ. (0:2)
მაკინლი (67), კრები (79), კლარკი (119); კრისტენსენი (91)
„მეხელენი" ბელგია — „ნორჩეპინგი" შვედეთი 1:1 დ.დ. (1:0)
ეუენი (113); ბლომბი (32)
„ლა ვალეტა" მალტა — „ტრაბზონსპორი" თურქეთი 1:3 (1:3)
ზარბი (78); ხაკი (12), ოქული (44), უნალი (66)
„აინტრახტი" გერმანია — „დინამო" მოსკოვი, რუსეთი 1:2 (6:0)
ფურტოკი (65); სიმუტენკოვი (22), დობროვოლსკი (53)
„ადმირა ვაკერი" ავსტრია — „დნეპრი" უკრაინა 2:3 (0:1)
ბახერი (45), ლუნგი (90); ბეჟენარი (43 პ), პოხლებაევი (50), მიხაილენკო (68)

ოთხშაბათი, 29 სექტემბერი

„სელტიკი" შოტლანდია — „იანგ ბოიზი" შვეიცარია 1:0 დ.დ. (0:0)
ბაუმანი (106, საკ. კარში)
„ვარეგემი" ბელგია — „კუუსისი" ფინეთი 1:2 (0:4)
დე კნეეფი (52); ანუნენი (84), ლიუსი (88)
„აპოლონი" კვიპროსი — „ვაც სმირნოფი" უნგრეთი 4:0 დ.დ. (0:2)
სკეპოვიჩი (40, 65), სპოლარეცი (111 პ), იკრიკმარევიჩი (118)
„ოსერი" საფრანგეთი — „ტენერიფე" ესპანეთი 0:1 (2:2)
ფელიპე (68)
„ბაიერნი" მიუნხენი, გერმანია — „ტვენტე" ჰოლანდია 3:0 (4:3)
მათეუსი (18 პ), კარნებეკი (45, საკ. კარში), ციგე (63)
„რაპიდი" რუმინეთი — „ინტერი" იტალია 0:2 (1:3)
ბატისტუტი (75), იონკი (83)
„კონგსვინგერი" ნორვეგია — „ესტერი" შვედეთი 4:1 (3:1)
ფრიგაარდი (36, 82, 89), ენგერბეკი (45); ლანდბერგი (41 პ)
„სპორტინგი" ლისაბონი, პორტუგალია — „ქოჯაელისპორი" თურქეთი 2:0 (0:0)
კადეტე (6), პაშეკუ (57)
„ოლიმპიაკოსი" საბერძნეთი — „ბოტევი" ბულგარეთი 5:1 (3:2)
კრისტენსენი (39, 80), ციანტაკისი (73), მიციბონასი (78 პ), ბატისტა (85); დიმიტროვი (67 პ)
„ვიტესი" ჰოლანდია — „ნორვიჩ სიტი" ინგლისი 0:0 (0:3)
ო.ფ.ი. საბერძნეთი — „სლავია" პრაღა, ჩეხეთი 1:0 (1:1)
მახლასი (42)
„ასტონ ვილა" ინგლისი — „სლოვანი" სლოვაკეთი 2:1 (0:0)
ატკინსონი (15), თაუნსენდი (22); ტიტელი (86)
„ლოკომოტივი" პლოვდივი, ბულგარეთი — „ლაციო" იტალია 0:2 (0:2)
ლუძარდი (22), კრავერო (66)
„ბრანიკი" მარიბორი, სლოვენია — „გლორია" რუმინეთი 2:0 (0:0)
სტანიჩი (6, 83)
მ.ტ.კ. უნგრეთი — „რეიკიავიკი" ისლანდია 0:0 (2:1)
„კალიარი" იტალია — „დინამო" ბუქარესტი, რუმინეთი 2:0 (2:3)
მატეოლი (6 პ), ოლივეირა (63)

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი

„ვალენსია" ესპანეთი — „ნანტი" საფრანგეთი 3:1 დ.დ. (1:1)
პენევი (72 პ), გალვესი (104), ფერნანდო (112); პედროსი (50)

## გერმანია

მეათე ტურში „აინტრახტმა" კვლავ მოიგო. ამჯერად ერთი თვით მწყობრიდან გამოსული იებოას გარეშე ლიდერმა გასვლაზე სძლია „შტუტგარტს" 2:0 (გაუდინო, 71, ბაინი, 83). უახლოესი მდევარი „ვერდერი" 87-ე წუთამდე აგებდა „შალკე 04"-თან, მაგრამ ჰობშმა ქულა იხსნა — 1:1. დიდი ანგარიშით მოიგეს ლევერკუზენის „ბაიერმა" და მიუნხენის „ბაიერნმა" — ორივემ 4:0. პირველმა „ნიურნბერგი" დაამარცხა, მეორემ — „ჰამბურგი" (ჰელმერი, შუპი, ვალენსია, შოლი). შედეგიანი აღმოჩნდა „ფრაიბურგი" — „კარლსრუეს" მატჩი — 3:3. მასპინძელთაგან გოლები ცაიტერმა (12), ზეელიგერმა (20) და ტოდტმა (61) გაიტანეს, სტუმრებიდან კი შმიდტმა (14) და ბენდერმა (52, 56 პ). კვლავ არ წააგო „დუისბურგმა" და უკვე მეექვსე ფრე გააკეთა, ამჯერად „კიოლნთან" 0:0.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ვატენშაიდი" — „ბორუსია" დორტმუნდი 1:2, „დინამო" დრეზდენი — „კაიზერსლაუტერნი" 3:1, „ლაიპციგი" — „ბორუსია" მიონხენგლადბახი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 10 | 8 | 2 | 0 | 28-9 | 18 |
| ვერდერი (1) | 10 | 6 | 3 | 1 | 20-12 | 15 |
| დუისბურგი (დ) | 10 | 4 | 6 | 0 | 18-10 | 14 |
| ლევერკუზ. (5) | 10 | 5 | 3 | 2 | 21-15 | 13 |
| ჰამბურგი (11) | 10 | 6 | 1 | 3 | 20-15 | 13 |
| ბაიერნი (2) | 10 | 4 | 4 | 2 | 24-12 | 12 |
| კაიზერსლ. (8) | 10 | 5 | 2 | 3 | 19-15 | 12 |
| დორტმუნდი (4) | 10 | 4 | 3 | 3 | 17-18 | 11 |
| კიოლნი (12) | 10 | 4 | 2 | 4 | 11-10 | 10 |
| კარლსრუე (6) | 10 | 2 | 4 | 4 | 11-15 | 8 |
| მიონხენგლ. (9) | 9 | 2 | 3 | 4 | 14-19 | 6 |
| შტუტგარტი (7) | 8 | 1 | 4 | 3 | 14-19 | 6 |
| ვატენშაიდი (14) | 10 | 1 | 4 | 5 | 12-18 | 6 |
| ლაიპციგი (დ) | 9 | 1 | [illegible] | 4 | 9-18 | 6 |
| ნიურნბერგი (13) | 10 | 2 | [illegible] | 6 | 10-24 | 6 |
| ფრაიბურგი (დ) | 10 | [illegible] | [illegible] | 6 | 17-24 | 5 |
| დინამო (15) | 10 | 3 | [illegible] | 4 | 13-20 | 5 |
| შალკე-04 (10) | 10 | 1 | [illegible] | 6 | 8-18 | 5 |

## იტალია

VII ტური. 3 ოქტომბერი. მილანი — ლაციო 0:0, უდინეზე — ლეჩე 2:1, პარმა — ფოჯა 3:0, ატალანტა — სამპდორია 1:4, პიაჩენცა — კალიარი 1:1, რომა — კრემონეზე 1:2, ჯენოა — რეჯანა 0:0, ნაპოლი — ინტერი 0:0, იუვენტუსი — ტორინო 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 7 | 5 | 2 | 0 | 8-0 | 12 |
| პარმა (3) | 7 | 5 | 1 | 1 | 12-4 | 11 |
| სამპდორია (7) | 7 | 5 | 1 | 1 | 14-8 | 11 |
| იუვენტუსი (4) | 7 | 4 | 2 | 1 | 14-7 | 10 |
| ტორინო (9) | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 9 |
| ინტერი (2) | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 9 |
| კალიარი (6) | 7 | 3 | 2 | 2 | 11-10 | 8 |
| კრემონეზე (დ) | 7 | 3 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| ნაპოლი (11) | 7 | 2 | 3 | 2 | 6-7 | 7 |
| ფოჯა (12) | 7 | 1 | 4 | 2 | 4-6 | 6 |
| ლაციო (5) | 7 | 1 | 4 | 2 | 3-6 | 6 |
| ჯენოა (13) | 7 | 1 | 3 | 3 | 4-6 | 5 |
| ატალანტა (8) | 7 | 2 | 1 | 4 | 10-13 | 5 |
| უდინეზე (14) | 7 | 2 | 1 | 4 | 5-8 | 5 |
| რომა (10) | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 5 |
| პიაჩენცა (დ) | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 5 |
| რეჯანა (დ) | 7 | 0 | 4 | 3 | 3-9 | 4 |
| ლეჩე (დ) | 7 | 0 | 1 | 6 | 4-11 | 1 |

## საფრანგეთი

XI ტური. 2 ოქტომბერი. ლილი — მარსელი 1:2, მარტიგი — პარი სენ-ჟერმენი 1:1, სტრასბური — ბორდო 0:2, ოსერი — ტულუზა 5:1, მონპელიე — სენტეტიენი 3:0, ლიონი — ნანტი 2:1, კაენი — მონაკო 0:1, მეცი — კანი 0:0, სოშო — ლანი 1:1, ანჟერი — ლე ავრი 0:0

მეთორმეტე ტური ამ კვირაში შედგა. სამშაბათს თავის მოედანზე მოულოდნელად ქულა დაკარგა „ბორდომ". იგი იგებდა 71-ე წუთზე ლიზარაზუს გატანილი პენალტით, მაგრამ ბოლო წუთზე „მონპელიემ" ანგარიში გაათანაბრა. დანარჩენი მატჩები გუშინწინ შედგა:

ნანტი — მეცი 2:0, მონაკო — ლიონი 1:1, ტულუზა — ანჟერი 2:1, ლე ავრი — ოსერი 1:0, სენტ ეტიენი — კაენი 5:0, მარსელი — სტრასბური 2:1, ლილი — სოშო 3:1, პარი სენ-ჟერმენი — ლანი 1:0, კანი — მარტიგი 2:1. შემდეგი ტური 16 ოქტომბერს გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო (4) | 12 | 7 | 3 | 2 | 18-8 | 17 |
| პსჟ (2) | 12 | 7 | 3 | 2 | 18-8 | 17 |
| კანი (დ) | 12 | 6 | 5 | 1 | 18-13 | 17 |
| მარსელი (1) | 12 | 6 | 4 | 2 | 14-10 | 16 |
| მონაკო (3) | 12 | 6 | 3 | 3 | 16-9 | 15 |
| ნანტი (5) | 12 | 5 | 5 | 2 | 11-6 | 15 |
| ოსერი (6) | 12 | 5 | 3 | 4 | 14-12 | 13 |
| სოშო (16) | 12 | 4 | 4 | 4 | 13-11 | 12 |
| სტრასბური (8) | 12 | 2 | 8 | 2 | 13-12 | 12 |
| მეცი (12) | 12 | 4 | 4 | 4 | 12-11 | 12 |
| სენტ-ეტიენი (7) | 12 | 3 | 5 | 4 | 13-11 | 11 |
| მონპელიე (10) | 11 | 4 | 3 | 4 | 12-13 | 11 |
| ლიონი (14) | 12 | 4 | 3 | 5 | 13-15 | 11 |
| მარტიგი (დ) | 12 | 2 | 6 | 4 | 13-14 | 10 |
| კაენი (11) | 12 | 4 | 2 | 6 | 8-18 | 10 |
| ლე ავრი (15) | 12 | 2 | 5 | 5 | 7-13 | 9 |
| ლანი (9) | 12 | 2 | 4 | 6 | 7-10 | 8 |
| ანჟერი (დ) | 12 | 2 | 5 | 6 | 11-16 | 7 |
| ლილი (17) | 12 | 1 | 5 | 6 | 11-16 | 7 |
| ტულუზა (13) | 11 | 1 | 5 | 5 | 6-18 | 7 |

## შოტლანდია

მეცხრე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა „დანდიმ", რომელმაც „ჰართსი" დაამარცხა 2:0, თუმცა ისევ ბოლო ადგილზე დარჩა. დანდის მეორე გუნდმა, „იუნაიტედმა" კი პირველი მარცხი იგემა — სტუმრად „ჰიბერნიანთან" 2:0. ორივე გოლი დარენ ჯექსონმა გაიტანა. კვლავ ვერ მოიგო „რეინჯერსმა". ამჯერად მან დებიუტანტ „რეით როვერსთან" გაიყო ქულები — 1:1. ტურის ცენტრალური შეხვედრა „მოზერუელსა" და „აბერდინს" შორის 0:0 დამთავრდა. ასევე დასრულდა „სელტიკის" და „კილმარნოკის" მატჩი. „პარტიკმა" მოუგო „სენტ-ჯონსტონს" 4:1, სამი გოლი გრანტის ანგარიშზეა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აბერდინი (2) | 9 | 5 | 2 | 2 | 11-5 | 12 |
| ჰიბერნიანი (7) | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 11 |
| მოზერუელი (9) | 9 | 4 | 3 | 2 | 11-8 | 11 |
| კილმარნოკი (დ) | 9 | 4 | 3 | 2 | 8-5 | 11 |
| რეინჯერსი (1) | 9 | 3 | 4 | 2 | 10-10 | 10 |
| დანდი იუნ. (4) | 9 | 2 | 6 | 1 | 7-7 | 10 |
| სელტიკი (3) | 9 | 2 | 5 | 2 | 9-7 | 9 |
| ჰართსი (5) | 9 | 4 | 1 | 4 | 6-8 | 9 |
| ს.ჯონსტონი (6) | 9 | 2 | 4 | 3 | 10-12 | 8 |
| პარტიკი (8) | 9 | 2 | 3 | 4 | 11-12 | 7 |
| რ.როვერსი (დ) | 9 | 1 | 4 | 4 | 9-18 | 6 |
| დანდი (10) | 9 | 1 | 2 | 6 | 6-11 | 4 |

## ცხადაძე რასისტების წინააღმდეგ

სამშაბათს, მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის ნაკრები დამარცხდა ბუნდესლიგის უცხოელ მოთამაშეთაგან შედგენილ გუნდთან 0:2. მატჩში აუგსბურგში შედგა და იგი ქვეყანაში მზარდი რასისტული განწყობილების პროტესტის ნიშნად გაიმართა.

— გერმანელებმა ეს მოვლენა სრული სერიოზულობით ვერ აღიქვეს, სამაგიეროდ ჩვენ მშვენივრად ვითამაშეთ, — თქვა დორტმუნდის „ბორუსიის" შვეიცარელმა თავდამსხმელმა შტეფან შაპუიზამ, რომელმაც ამ შეხვედრაში 22 000 გულშემატკივრის თვალწინ ორი გოლი გაიტანა. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, როცა გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა შეასრულა იტალიური კლუბებისთვის მიცემული დანაპირები და ამ გუნდებიდან მოწვეული ყველა ფეხბურთელი გამოცვალა. გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ეს მატჩი ჩაატარა დევიზით: „უცხოელი — ჩემი მეგობარია". ეს იყო დემონსტრაცია მემარჯვენეთა მიერ ბოლო 20 თვეში ჩადენილი თხუთმეტამდე მკვლელობის წინააღმდეგ. „მოძალადეებმა უნდა იცოდნენ, რომ უცხოელთა წინააღმდეგ მათი ქმედებები 5,4 მილიონი კაცის წინააღმდეგობას წააწყდება" — თქვა მსოფლიოს ყველაზე დიდი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ეგიდიუს ბრაუნმა. „ფეხბურთელთა მიერ ანტირასისტული განწყობილების დემონსტრირება მშვენიერი იდეაა. ჩვენ ხომ მრავალი ადამიანისთვის ნიმუში ვართ" — თქვა „კიოლნის" პოლონელმა ნახევარმცველმა ანჟეი რუდიმ. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ბუნდესლიგის უცხოელ მოთამაშეებს ჩვეულებრივ ხალხთან შედარებით ძალადობა ნაკლებად ეხებათ, მაგრამ ამ ჩვეულებრივ ხალხში ხშირად ფეხბურთელთა ცოლ-შვილი შედის. „აინტრახტის" განელმა თავდამსხმელმა ენტონი იებოამ ეს თამაში მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა. მან თქვა, რომ ფერადკანიან ფეხბურთელებს თეთრკანიანებზე უფრო ცუდად ეპყრობიან: არავინ დაიძახებს „ძირს შვეიცარელები" შაპუიზას მისამართით.

შეგახსენებთ, რომ დეკემბრიდან ბუნდესლიგის გუნდებმა ერთი წრე მაისურებზე ანტირასისტული წარწერით ითამაშეს. და მაინც, ამ აქციას ყველა არ შეუერთდა: მიონხენგლადბახის „ბორუსიის" სპონსორმა გასულ დეკემბერს მხოლოდ ფედერაციის დაწოლი[illegible] ფართო ნება თავის გუნდს ჩაეცვა ანტირასისტულ წარწერიანი მაისური. ახლა კი „ნიურნბერგის" მწვრთნელმა აუკრძალა თავის შვეიცარელ ნახევარმცველს ალან სუტერს და არგენტინელ ფორვარდს ხურხიო სარატეს სამშაბათის მატჩში მონაწილეობის მიღება.

სასიხარულოა, რომ ზხვა ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად ამ ღირშესანიშნავ მატჩში მონაწილეობდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახი ცხადაძე.

საფრანგეთში დღითიდღე უარესდება „მარსელის" საქმე. მეტოქის მოქრთამვაში მხილებულ გუნდს არ აკმარეს ევროპის ჩემპიონთა თასიდან გაძევება და საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევა. წინა ორშაბათს ფიფა-სა და უეფა-ს ერთობლივმა სხდომამ, რომელიც ციურიხში გაიმართა, „მარსელი" უეფა-ს სუპერთასიდან და საკონტინენტთაშორისო თასიდანაც გარიცხა. „მარსელს" ორივეგან შეცვლის „მილანი", რომელმაც მაისში ფრანგებთან ჩემპიონთა თასის ფინალი წააგო. სუპერთასზე მილანელთა მეტოქე იტალიისვე „პარმა" იქნება, საკონტინენტთაშორისოზე კი — ბრაზილიის „სან-პაულუ". როგორც უეფა-ს პრეს-სამსახურმა განმარტა, „მარსელისთვის" ბოლო დროს დაკისრებული სანქციები ფიფა-ს დაჟინებით როდი მომხდარა. ისინი გათვალისწინებული ყოფილა უეფა-ს კანონმდებლობით, ისევე როგორ ისა, რომ „მარსელის" ადგილი დამარცხებული ფინალისტს ერგო. „მარსელს" საშინაო ასპარეზზეც უჭირს. მისმა ქომაგებმა „მეცთან" შინ პირწმინდად წაგება ვერ აიტანეს, მოედანზე შეიჭრნენ, თამაში ჩაშალეს, მერე კი ქალაქიც ააოხრეს. ამის საპასუხოდ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ „მარსელის" სარბიელს — „ველოდრომს" ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა. ცუდადაა „მარსელის" ფინანსური საქმეებიც, რაკილა საერთაშორისო ასპარეზიდან გარიყვის გამო სპონსორებმა გუნდი მიატოვეს. კლუბის პრეზიდენტ ბერნარ ტაპის საფეხბურთო საქმეების გამოსასწორებლად სასწრაფოდ სჭირდება ზედმეტი 20 მილიონი დოლარი. როგორც კლუბის ხაზინადარ ალენ ლაროშს უთქვამს, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად „მარსელი" იძულებულია, რამდენიმე მოთამაშე გაყიდოს. ამასობაში „მარსელს" ახალი ბრალი დასდეს. ჟან-ჟაკ ეიდელიმ, ვინც „ვალენსიენის" მოსყიდვაში შუამავალი იყო, განაცხადა, რომ შარშან მარტში, როცა იგი ჯერ კიდევ „ნანტში" თამაშობდა, „მარსელმა" თამაშის მისაცემად ქრთამი შემომთავაზაო. ეს ჩვენება ეიდელიმ ბიბლიაზე დაფიცების შემდეგ მისცა. ქალაქ ნანტის პროკურატურამ სასწრაფოდ აღძრა საქმე. ორიოდე დღეში ეიდელიმ ისიც განაცხადა, რომ ტაპიმ ახალი სარფიანი კონტრაქტი შემომთავაზა, თუკი ჩვენებას შევცვლიო. ტაპიმ ეს სასწრაფოდ უარყო და ეიდელის ნათქვამს მონაჩმახი უწოდა, თუმცა ძიება თავის გზას დაადგა: ნანტის მთავარმა გამომძიებელმა დასაკითხად გამოიძახა „მარსელის" ხელმძღვანელობა.

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი უვე ბაინი გუნდში აღარ ითამაშებს. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონის რწმუნებით, ნაკრების მოთამაშეთა უმეტესობა ეგოისტი და ხარბია, რის გამოც გერმანიის სახელით თამაშს ერთობ უხალისოდ თანხმდებიანო. რაც შეეხება ბაინს, მას ნაკრებში, რაღა თქმა უნდა, ხალისით, 17-ჯერ უთამაშნია.

ინგლისის „ნორვიჩ სიტის" თავდამსხმელმა ეფონ ეკოკუმ, რომელმაც 25 სექტემბერს „ევერტონს" „გუდისონ პარკზე" 4 გოლი გაუტანა, მოსვენება დაუკარგა ნიგერიის ნაკრების ჰოლანდიელ მწვრთნელ კლემენს ვესტერჰოფს. როგორც მწვრთნელმა შეიტყო საიმედო წყაროებიდან, ეკოკუ ინგლისში დაბადებულა, მაგრამ მამა ნიგერიელი ჰყოლია და 16 წლის რომ შესრულებულა, იმის შემდეგ ხუთი წელი აფრიკის ამ ქვეყანაში უცხოვრია. რაკიდა ეკოკუს ინგლისის სახელით ჯერაც არ უთამაშნია, ამით იმედმოცემული ვესტერჰოფი „ნორვიჩის" მოთამაშეს ჰოლანდიის ქალაქ არნემში დაუხვდა, სადაც ინგლისის კლუბი უეფა-ს თასის საპასუხო ოცდამეთორმეტედფინალის სათამაშოდ ჩავიდა, და ნიგერიის ნაკრებში მიწვევა შესთავაზა, რასაც ბომბარდირი ხალისით შეხვდა. ახლა ნიგერიის ფეხბურთის ასოციაცია ეკოკუს კლუბთან მიმოწერას გააბამს და იმედოვნებს, რომ საკითხი ჯენტლმენური შეთანხმებით დასრულდება: კერძოდ, „ნორვიჩი" ეკოკუს 8 ოქტომბერს მიავლენს ალჟირს, სადაც ნიგერიას ფრეც ჰყოფნის აშშ-ის საგზურის მოსაპოვებლად. ვესტერჰოფმა ხატოვნად დაახასიათა არნემის „ვიტესთან" ეკოკუს თამაში: ორი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ გოლი რომ ვერ შეაგდო, ეგ არაფერიაო — ასპროცენტიანი შედეგი არც პელეს ჰქონია და არც ეუსებიოსო!




პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი ანჯეი სტრეილაუ გადადგა — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ნორვეგიასთან 0:1 წაგების შემდეგ პოლონელებმა აშშ-ში წასვლის შანსი თითქმის დაკარგეს, თანაც მწვრთნელი ბოლო ხანებში ხშირად ავადმყოფობდა. ოთხშაბათს სტრეილაუ საავადმყოფოში იწვა დაწოლილი. ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე კი მას თანაშემწეები — ლესლავ ცმიკევიჩი და იოზეფ მლინარჩიკი შეცვლიან.



უვე ბაინი

იტალიის „უდინეზეც" მოისაკლისებს მწვრთნელს. აძელიო ვიჩინი, ვინც ქვეყნის ნაკრებს 1990 წლის მსოფლიო პირველობაზე თავკაცობდა, 1992 წლის ევროპის პირველობაზე მოუხვედრელობის გამო კი ნაკრებიდან დაითხოვეს, ეხლა კლუბის მწვრთნელის პოსტიდანაც გადააყენეს, ვინაიდან „უდინეზემ" ექვსი მატჩიდან ოთხი წააგო. კლუბმა ვიჩინის მენეჯერად მუშაობა შესთავაზა, მწვრთნელობა კი მის თანაშემწეს — ადრიანო ფიდელის ჩააბარა.

ზამბიაში დიდი იმედით ელიან 10 ოქტომბერს, როცა იქაური ნაკრები, ვინაც აპრილის ავიაკატასტროფაში 18 მოთამაშე დაკარგა, კასაბლანკაში მაროკოს უნდა ეთამაშოს. ზამბიას ფრეც ხელს აძლევს. როგორც გუნდის მწვრთნელმა, შოტლანდიელმა იენ პორტერფილდმა შენიშნა, აქაურ ზანგებს დიდ პატივში ვყევარ, ხოლო ფეხბურთის გუნდის წარმატება სხვაფრივ უჩინარი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შესაქმნელად ერთობ საშური საქმეაო.

ერაყში დიდი ფეხბურთი დაბრუნდა. აგვისტოში ფიფა-მ გააუქმა სადამის სამფლობელოში საერთაშორისო შეხვედრების გამართვის აკრძალვა, რომელიც 1990 წელს დააწესა ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის საპასუხოდ. ქვეყანას პირველი ბუქარესტის „პროგრესული" ეწვია და 29 სექტემბერს ბაღდადში ფრესაც 1:1 მიაღწია ერაყის ნაკრებთან, რომელიც ემზადება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებების აზიის ზონის დასკვნითი ექვსთა ტურნირისათვის, რომელიც ნეიტრალურ ყატარში უნდა გაიმართოს.

საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალის სამასპინძლოდ 80-ათასიანი სტადიონი პარიზიდან 15 კილომეტრის მოშორებით, სენ-დენიში აშენოს. ამით ფრთები შეეკვეცა ფრანგული „დისნეილენდის" ბინას — მან-ლავალესა და მელონ-სენაოს, რომლებიც ასევე იმედოვნებდნენ ფინალის მასპინძლობას. სხვათა შორის, 80-ათასიანი სტადიონი საფრანგეთის უცხო ხილი იქნება, ვინაიდან პარიზის „პარკ დე პრენსი" დიდი-დიდი 55 ათას კაცს იტევს.

გერმანიის თასზე მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" „კარლსრუეს" კი მოუგო 5:3, მაგრამ მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშება მოუწევს. საქმე ისაა, რომ თამაშის დროს სტუმართა მეკარეს თავში ტრიბუნებიდან ნასროლი საგანი მოხვდა. „ბორუსია" ამტკიცებს, მატჩებით 10 ათასი მარკითაც დააჯარიმეს, აქაო და მეტოქეთა უსაფრთხოება რატომ ვერ უზრუნველჰყავითო.

ესტონეთის საფეხბურთო კლუბ „ტევალტეში", რომელიც ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჩაირიცხა. ჩინი ფინეთის „ილვესმა" ათხოვა „ტევალტეს" ოქტომბრის ბოლომდე: 20 წლის ალბერტო რომაულდუს „სანტოსის" შემადგენლობაში კი აქვს ნათამაშევი, 23 წლის მილტონ მარტინსი კი მთელი ცხოვრება აქეთ-იქით დადის და ჰონდურასის „მატგუას" შემადგენლობაში ამ ქვეყნის ვერცხლის მედალიც მოუპოვებია. ბრაზილიელები ტალინის სასტუმრო „ოლიმპიაში" ცხოვრობენ, სადაც მათ მასპინძლებმა თარჯიმანი და პირადი მზარეული მიუჩინეს.

რუსეთის „სპორტ-ექსპრესმა" გასული კვირის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდა ინფორმაცია, რომ „როსტსელმაშის" მოთამაშე ჯემალ გუბაზი, რომელიც თავის დროზე თბილისის „დინამოში" გამოდიოდა, ხშირად აცდენს რუსეთის ჩემპიონატის მატჩებს, თუმცა საპატიო მიზეზით. ჯერ იყო და სამშობლოში დაბრუნდა, რათა ძმაკაცის დასაფლავებას დასწრებოდა, როსტოვში დაბრუნებულს კი მას საკუთარი ძმის მძიმედ დაჭრა შეატყობინეს და გუბაზი ისევ აფხაზეთს ჩავიდა.

შოტლანდიაში 42 წლისა გულის შეტევით გარდაიცვალა ამ ქვეყნის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ნახევარმცველი ჯიმი ჰოლტონი. 1973-75 წლებში მას 15-ჯერ უთამაშია ნაკრებში და ორი გოლი გაუტანია. ჰოლტონი მონაწილეობდა 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში.

ჰოლანდიის ჩემპიონატის მერვე ტურში ამსტერდამის „აიაქსმა" 2:0 მოუგო „ვენლოს" და 15 ქულით ლიდერობას განაგრძობს. ჯერ ქულა არ დაუკარგავს ჩემპიონ „ფეიენოორდს", რომელსაც 7 თამაში აქვს ნათამაშევი. მესამე ადგილზეა „ვიტესი". მან გასულ ტურში შინ „უტრეხტს" ვერ მოუგო — 2:2.

უეფა-მ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კვლავ შემოიღო ნახევარფინალები. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები შეხვდებიან მეორე ადგილზე გასულებს, A ჯგუფის გამარჯვებული უმასპინძლებს B-ს მეორე ადგილზე გასულს და პირიქით. საპასუხო მატჩები არ გაიმართება. ვარაუდობენ, რომ ასეთი სისტემა ჯგუფებში ბრძოლას გაამძაფრებს.

საფრანგეთის ფეხბურთში ახალი სკანდალია. „ბორდოს" მწვრთნელს როლან კურბის კვლავ შემოსავლის დაფარვაში დებენ ბრალს. კვლავ იმიტომ, რომ 1990 წელს კურბი უკვე იჯდა ციხეში სამი თვის მანძილზე იმის გამო, რომ 1987-89 წლებში, როცა იგი „ტულონის" გენერალურ მენეჯერად მუშაობდა, არ იხდიდა გადასახადს. ამჯერად 40 წლის მწვრთნელი კატეგორიულად უარყოფს წაყენებულ ბრალდებას.

რუსეთის ნაკრებმა გუშინწინ ამხანაგური მატჩი გამართა აბუ-დაბიში, სადაც საუდის არაბეთის ნაკრებთან წააგო 2:4. რუსებისგან ორივე გოლი მოსტოვოიმ გაიტანა (8, 72), მასპინძლებიდან კი თავი გამოიჩინეს ხალიდ მესაადმა (23, 60), ჰამზა იდრისმა (65) და ფაჰდ მხალელმა (85).

ბელგიის ნაკრებმა ოთხშაბათს გამართულ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა გაბონის ნაკრები 2:1. აფრიკელები წინ იყვნენ (ბრაის მაკაია, 38), მაგრამ მარკ ვილმოტსმა 44-ე და 87-ე წუთებზე იხსნა მასპინძლები სამარცხვინო წაგებისგან.

ჰოკეი

# სეზონი გაიხსნა

სამშაბათს გაიხსნა ჰოკეის ეროვნული ლიგის 77-ე რეგულარული სეზონი. წლეულს მონაწილე გუნდების რიცხვი ორით გაიზარდა და 26-ს მიაღწია, თუმცა ცვლილებები ამით არ დამთავრებულა და ისინი უმთავრესად პლეი-ოფის სერიაში გუნდების დაწყვილებას შეეხო. ამაზე — სხვა დროს, ხოლო რაც შეეხება ჩემპიონატს, აქ რამდენიმე გუნდი ახალ დივიზიონში გადავიდა, ხოლო „მინესოტა ნორს სტარზი" დალასში გადაბარგდა და ახლა „დალას სტარზის" სახელით გამოვა. თვით დივიზიონებს სახელები გადაერქვათ და სმაიტის, ნორისის, პატრიკისა და ადამსის ნაცვლად ამჟამად შესაბამისად წყნარი ოკეანის, ცენტრალურ, ატლანტიკის და ჩრდილოაღმოსავლეთ დივიზიონებად იწოდებიან. ძველი სახელები არც კონფერენციებს შერჩათ. კემპბელისას აღმოსავლეთისა უწოდეს, უელსის პრინცისას — დასავლეთისა.

დასავლეთი კონფერენცია. წყნარი ოკეანის დივიზიონი: „კალგარი ფლეიმზი", „ედმონტონ ოილერზი", „ვანკუვერ კენაქსი", „ლოს ანჯელეს კინგზი", „სან ხოსე შარკსი", „ანაჰეიმი"; ცენტრალური დივიზიონი: „ვინიპეგ ჯეთსი", „ტორონტო მეიფლ ლივზი", „დეტროიტ რედ უინგზი", „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსი", „სენტ ლუის ბლუზი", „დალას სტარზი".

აღმოსავლეთი კონფერენცია. ატლანტიკის დივიზიონი: „ტამპა ბეი ლაითნინგსი", „ვაშინგტონ კეპიტალზი", „ნიუ-იორკ აილენდერსი", „ნიუ-იორკ რეინჯერსი", „ნიუჯერსი დევილზი", „ფილადელფია ფლაიერზი", „მაიამი პანტერზი"; ჩრდილოაღმოსავლეთი დივიზიონი: „პიტსბურგ პინგვინზი", „ბოსტონ ბრუინზი", „ჰარტფორდ უეილერზი", „მონრეალ კანადიენსი", „ოტავა სენატორსი", „ბაფალო სეიბრზი", „კვებეკ ნორდიქსი".

აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდები თავისი დივიზიონის კლუბებთან ხუთჯერ ითამაშებენ, „მოძმე" დივიზიონის გუნდებთან — ოთხჯერ, დასავლეთ კონფერენციელებთან კი — ორჯერ. დასავლეთელები ერთმანეთს ექვსჯერ შეხვდებიან, მეორე დივიზიონის კლუბებს კი ოთხჯერ.

5 და 6 ოქტომბერს ჩატარებული მატჩების შედეგები: „რეინჯერსი" — „ბოსტონი" 3:4, „ფილადელფია" — „პიტსბურგი" 4:3, „დალასი" — „დეტროიტი" 6:4, „კალგარი" — „აილენდერსი" 2:1, „ნიუ-ჯერსი" — „ტამპა ბეი" 2:1, „მონრეალი" — „ჰარტფორდი" 4:3, „ჩიკაგო" — „მაიამი" 4:4, „ედმონტონი" — „სან ხოსე" 3:2, „ვინიპეგი" — „ვაშინგტონი" 6:4, „ვანკუვერი" — „ლოს ანჯელესი" 5:2.

კრივი

# რა ჰუკი ჰქონია!

პარასკევს უელსური რაგბის ბინაზე, კარდიფის „არმზ პარკის" სტადიონზე, ღიაცის ქვეშ პროფესიონალ მოკრივეთა გამორჩეული შერკინება გაიმართა. პირველად XX საუკუნეში, ორი ბრიტანელი — ჩემპიონი ლენოქს ლუისი და პრეტენდენტი ფრენკ ბრუნო ერთურთს შეეცილა კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო სარტყელს.

ვიდრე ბრძოლას მიმოვიხილავდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ პროფესიული კრივის სამყაროში დიდი შინაშლილობაა — ერთდროულად ოთხი გაერთიანება არსებობს და თითოეულს თავ-თავისი ჩემპიონები ჰყავს. ჰეგემონობას WBC-ის გარდა ერთურთს ეცილებიან კრივის საერთაშორისო ფედერაცია (IBF), კრივის მსოფლიო ასოციაცია (WBA) და ორგანიზაცია (WBO). ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში ძალლი პატრონს ვერა სცნობს და კურიოზებიც მრავლად ხდება, რინგზე გამართული ბრძოლები კი რინგსმიღმა ხვანჯების გაგრძელებაა ხოლმე.

რაღა შორს წავიდეთ. წლევანდლამდე ყველაზე პრესტიჟულ — მძიმე წონაში ფედერაციას, ასოციაციასა და საბჭოს საზიარო ჩემპიონი — ამერიკელი რიდიკ ბოუ ჰყავდათ, მაგრამ მენეჯერებმა იმდენი ჰქნეს, რომ ბოუ ვერაფრით შეახვედრეს ლენოქს ლუის. ამან საბჭოს თავკაცს ხოსე სულეიმანს უკიდურესი ზომები მიაღებინა — ჩემპიონად ლუისი გამოაცხადა უბრძოლველად. რაც შეეხება ბოუს, მან პრესკონფერენცია გამართა და საბჭოს სარტყელი საჯაროდ ჩააგდო სანაგვე ყუთში.

მიუხედავად ყოყლოჩინობისა, სულეიმანს ბოუ არ შესჯავრებია. როგორც საბჭოს ბრძენკაცი ამბობს, ბოუ შემცდარია, თორემ კარგი ბიჭია. ამიტომ მაინც ვიმედოვნებ, რომ მალე გონს მოეგება და შეერკინება ლუისს, რომელიც ისე ირჯება, როგორც ჭეშმარიტ ჩემპიონს ეკადრებაო.

ერთი რამ ცხადია: ბოუ — ლუისის ჩხუბი გაისად შემოდგომამდე ვერ გაიმართება. ამიტომ ისევ საამდღეო ამბებს დავუბრუნდეთ, მით უფრო, რომ არმზპარკისეულ წარმოდგენას საგულისხმო ქვეტექსტი ჰქონდა.

საქმე ისაა, რომ ლუისიცა და ბრუნოც კარიბჭთიდან, ანუ ვესტ-ინდოეთიდან ბრიტანეთს გადასახლებულთა შთამომავლები არიან. 1950-60-იან წლებში ბრიტანულ კრივში სწორედ კარიბული ტალღა — ლივერ მელოუნის რაზმად ცნობილი თაობა შევიდა, მაგრამ ფარული რასიზმის გამო თუ იყო, რომ ამ ბიჭებს მენეჯერები კარგა ხანს არ სწყალობდნენ: თვით მსოფლიო ჩემპიონს მორის ჰოუპს მეტწილად სანახევროდ ცარიელი ტრიბუნების წინ უწევდა ასპარეზობა.

სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა ბოლო წლებში — სარბიელზე თანდათან გამოჩნდნენ ბრუნო, კრის იუბენკი, ნაიჯელ ბენი და ბოლოს ლუისიც. ასე რომ, ორი იამაიკელის — ლუისისა და ბრუნოს უელსური შერკინება ბრიტანული კრივის მიერ კარიბული გავლენის აღიარებაც იყო.

მშობლების ერთნაირი წარმომავლობის მიუხედავად, ლუისი და ბრუნო ერთმანეთს მაინცდამაინც არ ძმობენ. პროფესიული კრივის დაუწერელი კანონის თანახმად, მატჩამდე კარგა ხნით ადრე მეტოქე ბანაკებმა მას-მედიაში შაირობა გააჩაღეს. ვალში არცერთი მხარე დარჩენილა. ბუკმეიკერები ლუისის გამარჯვებას ოთხჯერ უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდნენ, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჯორჯ ფორმენი: მისი აზრით, გამოცდილების წყალობით უნდა მოეგო 31 წლის ბრუნოს. რაც შეეხება რიდიკ ბოუს, მას ლუისის ნოკაუტით გამარჯვება სწამდა და ეწადა კიდეც, რაკილა სეულის ოლიმპიურ რინგზე ლუისთან წაგებისთვის რევანშიც სწყუროდა.

დაიძლავდნენ მოკრივეთა მენეჯერებიც: ბრუნოს გადია მიკი დაფი 5 ათას დოლარსაც ჩავიდა, რომელიც ლუისის გამზრდელს ფრენკ მელოუნს უნდა გადაეხუთმაგებინა, თუკი პრეტენდენტი გაიმარჯვებდა. არადა, ცოდვა გამხელილი სჯობს და ბრუნოს, რომელსაც სარტყლის დაუნჯება ორჯერ ამაოდ ეცადა, მოგების შანსი მართლაც ჰქონდა, რაკილა ლუისს ბოლო ხანებში ამერიკელი ტონი ტაკერის გალახვა მარჯვენა მაჯის ტრავმადა და მის სამკურნალოდ განალებ 20 ათას დოლარად დაუჯდა.

ბრძოლისწინა წმინდა რიტუალი — აწონვა ხუთშაბათს, თავსხმა წვიმაში ჩატარდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეული ქომაგი და ჟურნალისტი მაინც მოგროვდა კარდიფის ციხე-სიმაგრის ეზოში, სადაც მაცნემ ძველებურ ყაიდაზე ამცნო საზოგადოებას ჯერ ბრუნოს გამოჩენა, მერე კი — ლუისისა.

ლიანგი პრეტენდენტს სამი ყიჟინით შეეგება, ჩემპიონს კი ქოქოლა დააყარა. ბრუნომ ზუსტად 17 სტოუნი (108 კგ) აიწონა, ლუისი კი 16 სტოუნი და 5 გირვანქა (104 კგ) აღმოჩნდა. აქვე შევნიშნოთ, რომ სტოუნში 14 გირვანქაა.

მაშინვე გამოცხადდა, რომ თუ წვიმა არ შეწყდებოდა, პარასკევს საღამოს ჩხუბი შეიძლება არც გამართულიყო. ბრძოლის დაწყების ბოლო ვადა შაბათი საღამო იქნებოდა, ხოლო გამართვა-გადადებას ამ ვადამდე არანაკლებ ათი წუთით ადრე ამერიკელი რეფერი მიკი ვენი გადაწყვეტდა, რომლის დასანიშნადაც საბჭოს დიდი ომის გადახდა დასჭირდა, რაკილა ბრუნოს ბანაკი რეფერის კანდიდატურას სწუნობდა, აქაოდა 10 სექტემბერს ერთობ ცუდად იმსაჯა 66 კგ-მდე წონითი კატეგორიის მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლა ვითეიკერსა და ჩავესს შორის, რომელიც ამის გამო ერთობ საჭოჭმანო ყაიმით დასრულდაო.

ბუნებამ კრივის სამყარო დაინდო — პარასკევს გამოიდარა. ბრძოლა 12 რაუნდს უნდა გაგრძელებულიყო და ბრუნომაც მედგრად შეუტია. ძნელი სათქმელია, ლუისი, ვინაც ტაქტიკური საზრიანობით ვერც წინათ დაიკვეხნიდა, საბრძოლველად ვერ იყო განწყობილი თუ რა — როგორც ამბობენ, მისი ფიქრები უფრო ტომი მორისონთან ძლივძლივობით გახერხებულ შერკინებას დასტრიალებდა, მაგრამ ჩხუბის პირველი ნახევარი პრეტენდენტის უპირატესობით წარიმართა, ერთ-ერთი მსაჯის ანგარიშით კი ბრუნომ ექვსი რაუნდიდან ოთხი მოიგო.

არადა, ლუისის ბანაკს ბრუნოს დამარცხებათა ჩანაწერები გულდასმით რომ გაერჩია, უცილობლად შენიშნავდა, რომ ზორზოხი და ზანტი ბრუნო მაშინ მარცხდებოდა, როცა მეტოქე უკან აწევინებდა. ლუისი, პირიქით, ერთობ პასიურობდა, რის შედეგადაც ბრუნო უტევდა. მეტოქენი ერთურთს ჯებებს უთავაზებდნენ, რის გამოც მარცხენა თვალი ორივემ დაიმშვენა.

ამ ყოფაში დაიწყო მეშვიდე რაუნდიც. ბრუნომ ლუისი რინგის კუთხეში მიიმწყვდია და აპერკოტები დააყარა, მაგრამ ერთ მომენტში გაიხსნა, ლუისის მარცხენა ჰუკი იგემა და თითქოს მისთვის დრო შეჩერდაო, ადგილზე გაქვავდა. რეფერი მიკი ვენმა რაუნდის დაწყებიდან წუთისა და ათი წამის თავზე ნოკაუტი აღნუსხა.

ასე და ამგვარად, ლუისმა 24-ე ბრძოლაც მოიგო და პროფესიულ რინგზე კვლავაც უძლეველია. ამ შერკინებებიდან 20 ვადამდე დამთავრებულა. რაც შეეხება ბეჩავ ბრუნოს, მან მე-40 შერკინებაში მეოთხე მარცხი იწვნია და სამომავლო გეგმების გამო ახლა ოჯახს უნდა ეთათბიროს.

ბრძოლის შემდეგ ლუისი ერთობ კმაყოფილი ჩანდა. მან ერთობ შეაქო ბრუნოს მონდომება და თავგამოდება და იგი ძმადაც კი მოიხსენია, თან ისიც შენიშნა, ვგრძნობდი, რომ თანდათან დაიღლებოდა და ამიტომ არ ვჩქარობდიო. ვეტერანმა მენეჯერმა ლუ დუვერმაც ხოტბა შეასხა გამარჯვებულს და დასძინა, არ ვიცი, ამერიკელები ლუისს რა თვალით უყურებენ, ჩემი აზრით კი უნიჭიერესი მოკრივეა და თავისს სათქმელს კიდევ ბევრჯერ იტყვისო.

ერთი სიტყვით, ბოლო ერთი წლის მანძილზე ლუისმა მეორედ იკმარა ერთი დარტყმა, მეტოქე რომ დაენოკაუტებინა — შარშან მან ხომ მარჯვენა კროსით რეიზერ რადოკი გააგორა. საინტერესოა, კვლავ ერთი დარტყმის იმედად თუ იქნება საბჭოს ჩემპიონი ლუისი ორგანიზაციის ჩემპიონ ტომი მორისონთან შერკინებაში, რომელიც გაისად, 5 მარტს ლას-ვეგასში უნდა გაიმართოს. თუმცა, მანამდე შორია: მორისონმა ოქტომბრის ბოლომდე ჯერ მაიკლ ბენის შეტევა უნდა მოიგერიოს.



ლენოქს ლუისი საჩემპიონო ქამრით

ვალერი ჯიქია

კალათბურთი

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი გუშინწინ, 6 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს ერთიმეორის მიყოლებით დატრიალებულმა ტრაგედიებმა ფედერაციის თავკაცებს მისი დაახლოებით ერთი თვით გადადება აიძულეს. მესამე ეროვნული ჩემპიონატის დაწყების ზუსტი თარიღი მოვლენათა განვითარების შესაბამისად გადაწყდება.

გია ახალაძის ფოტოზე შარშანდელი ფინალის, „ვითა" — „მერანის" ეპიზოდია აღბეჭდილი, დღეს კი გთავაზობთ ილია ბაბუნაშვილის ინტერვიუებს ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის მწვრთნელებთან, რომლებიც ერთი კვირის წინანდელია, მაგრამ კალათბურთის მოყვარულებს, ვფიქრობთ, მაინც დააინტერესებს.



# პირველობა უნდა შევინარჩუნოთ

ახალი სეზონისთვის ემზადება საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ვითა". გუნდის დღევანდელი დღის შესახებ ვესაუბრეთ მის მთავარ მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს.

— ბატონო ბესიკ, ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ჩემპიონატის დაწყებას მოცდა სჯობს?

— დღევანდელ პირობებში სათამაშო განწყობა მართლაც არ არის.

— სხვა მხრივ გუნდი მზად არის სათამაშოდ?

— მზადება პირველ ივნისს, თბილისში დავიწყეთ. პირველიდან თექვსმეტ სექტემბრამდე გუნდმა ლიკანში ივარჯიშა. ეს პერიოდი მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაეთმო. წვრთნას მამია ტულუში უძღვებოდა, თვრამეტი სექტემბრიდან კი ვერის პარკში ვვარჯიშობთ. დღეს თხუთმეტი კალათბურთელი გვყავს, მათგან თორმეტი უნდა შევარჩიო, ასე რომ გუნდში კონკურენციაა. „ვითას" შემოუერთდნენ შვედეთიდან დაბრუნებული კახა შენგელია, საბერძნეთიდან მალხაზ ტურაშვილი, ქუთაისის „რიონიდან" შოთა მაჭარაძე, უნივერსიტეტიდან ზურაბ ჩუბინიძე, „მართველდან" ვაკო ბეჟანიშვილი. კვლავ ვარჯიშობს შოთა უძილაური, რომელმაც გასული სეზონი ტრავმის გამო გამოტოვა.

— შეიცვლება გუნდის თამაშის პრინციპი?

— აბსოლუტურად შეიცვლება. წინა ჩემპიონატმა შვიდი მოთამაშის მხრებზე გადაიარა. წელს არჩევანი ფართო გვაქვს და ამდენად გაცილებით მეტ ტაქტიკურ ვარიანტს შევიმუშავებთ. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ გაისად ჩვენმა გუნდმა ევროთასებზე ღირსეულად ითამაშოს.

— წლეულს ჩემპიონთა თასზე რისი იმედი უნდა გვქონოდა?

— გააჩნია, ვინ შეგვხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილებას მაინც შევიძენდით. სანამ ქართული კალათბურთი საკუთარ კედლებში იყო ჩაკეტილი, ევროპამ დიდი პროგრესი განიცადა. მოხდა მათი სტილის გამერიკულება, უმატა ძალისმიერმა თამაშმა.

— ახალი პირველობა აჯობებს გასულს?

— უკეთესი უნდა იყოს, გასულ სეზონში, ერთადერთი გუნდი, რომელსაც ძლიერი მეპატრონე ჰყავდა ჩვენ ვიყავით, ახლა სხვა გუნდებმაც გამონახეს სპონსორები. კარგი იქნებოდა პროფესიული ლიგა რომ ჩამოყალიბებულიყო. ის გუნდები, რომელთა უსახსრობის ხათრითაც არ გადადგეს ეს ნაბიჯი სწორედ უსახსრობის გამო ისედაც დაიშალა. გაისისთვის აუცილებელია ლიგის შექმნა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ წლევანდელის მსგავსად ევროტურნირებზე გაუგებრობის თუ უპასუხისმგებლობის გამო ჩვენი ვერ გასვლა ავიცილოთ თავიდან.

— თქვენი მიზანი ალბათ ისევ ჩემპიონობაა.

— რა თქმა უნდა. ჩემპიონობა უნდა შევინარჩუნოთ.

— ვინ იქნება თქვენი მთავარი მეტოქე?

— „თბილისი", სადაც ძლიერი, გამოცდილი კალათბურთელები ჰყავთ.

# სულ ცოტა — სუპერფინალი



ვიცე-ჩემპიონს, „მერანს" ახალ სეზონში „თბილისი" ერქმევა. გუნდს სათავეში სოხუმელთა ყოფილი მწვრთნელი ვალერი ჯგერენაია ჩაუდგა.

— ბატონო ვალერი, რამ განაპირობა თქვენი თბილისში გადმოსვლა?

— „თბილისს" კორაჩის თასის გათამაშებაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ნოდარ ქორქია და გუნდის სხვა ხელმძღვანელები კარგა ხანია მათთან გადასვლას მთხოვდნენ. სოჭის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ დავთანხმდი. შემდეგ გაირკვა, რომ საქართველოს გუნდების ევროტურნირებში მონაწილეობა ჩაიშალა, მაგრამ მუშაობა უკვე დაწყებული მქონდა და ერთი წლით დარჩენა გადავწყვიტე.

— ახალ გუნდზე რას იტყვით?

— მხოლოდ ერთი თვეა, რაც შემადგენლობა საბოლოოდ გაირკვა. გვყავს როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილი კალათბურთელები. ნიკოლოზ დერიუგინი ჩვენთვის დიდი შენაძენია. „დინამოდან" სანაძე და ცაგარეიშვილი შემოგვიერთდნენ. თბილისელთა ძველი ბირთვი კი ძირითადად იგივეა. მზადების შედეგით უკმაყოფილო ვარ, გუნდს შეთამაშება აკლია. რაც შეეხება საქმისადმი პროფესიულ მიდგომას და პასუხისმგებლობის გრძნობას, ეს ბიჭებს არ აკლიათ.

— მთლად ისე ვერ ვარჯიშობთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ?

— გეგმის მიხედვით ვვარჯიშობთ, მაგრამ ბუნებრივია, მოწესრიგებულ გარემოში მეტი ხალისი იქნებოდა. სოხუმზე შეტევა რომ დაიწყო, მთელი გუნდით მერიაში მივედით, გვინდოდა რაიმე ფორმით მონაწილეობა მიგვეღო ქალაქის, ან თუნდაც თბილისში წესრიგის დაცვაში.

— თქვენი ყოფილი გუნდის წევრების შესახებ ხომ არაფერი გსმენიათ?

— სოჭის შეთანხმების შესაბამისად სოხუმელებისგან შედგენილი ბატალიონი ქალაქში უნდა დარჩენილიყო. გუნდის ყველა მოთამაშე ამ ფორმირების წევრი იყო. ეს-ის იყო უნდა გაგვერკვია საჭირო იყო თუ არა მათი მუდმივად სოხუმში ყოფნა და თუ შეიძლებოდა დედაქალაქში სათამაშოდ წამოსვლა, რომ ომი ატყდა. მე მინდოდა მათთან ჩასვლა, მაგრამ აფხაზეთისკენ მიმავალი გზები გადაკეტილი აღმოჩნდა. სადღეისოდ კი ხელთ რაიმე ცნობა არა მაქვს.

— ახლა კამათობენ, უპრიანია თუ არა ექვს ოქტომბერს საქართველოს პირველობის დაწყება. ამბობენ ასეთ ვითარებაში თავად გუნდები არიან წინააღმდეგიო. თქვენი პოზიცია როგორია?

— წელიწადზე მეტია რაც ომია, მაგრამ წინა პირველობა მაინც ჩატარდა და თან მასში სოხუმის გუნდმაც კი მიიღო მონაწილეობა. თბილისში ხომ არ არის ომი?! თუ კინოფესტივალის ჩატარება შეიძლება, კალათბურთის პირველობამ რაღა დააშავა? ამბობენ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო, თუ ასეა, გაუგებარია, რატომ უნდა გადავდოთ. დავიწყოთ და თუ გლობალური არეულობა დაიწყო, ჩემპიონატსაც შევწყვეტთ.

— რა მიზანს ისახავს „თბილისი" ახალ სეზონში?

— პროგრამა-მინიმუმი სუპერფინალში თამაშია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოტოლოტო

## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 31 16-17 ოქტომბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | **გერმანიის ჩემპიონატი** | | | |
| 1 | დუისბურგი — აინტრახტი | — | 2 4 4 | X 2 |
| 2 | ფრაიბურგი — ვერდერი | — | 2 3 5 | X 2 |
| 3 | დორტმუნდი — ჰამბურგი | 3:1, 2:1 | 6 3 1 | 1 |
| 4 | ბაიერნი — მიონხენგლადბახი | 2:2, 2:2 | 7 2 1 | 1 |
| | **ესპანეთის ჩემპიონატი** | | | |
| 5 | დეპორტივო — ბარსელონა | 1:0, 0:3 | 3 5 2 | 1 X |
| 6 | ტენერიფე — რეალი | 2:0, 0:3 | 4 4 2 | 1 X |
| | **იტალიის ჩემპიონატი** | | | |
| 7 | იუვენტუსი — ატალანტა | 4:1, 1:2 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 8 | კალიარი — ნაპოლი | 1:0, 0:1 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 9 | კრემონეზე — პარმა | — | 3 3 4 | 1 X 2 |
| 10 | ფოჯა — მილანი | 0:1, 2:2 | 2 2 6 | 2 |
| 11 | ინტერი — ტორინო | 2:1, 3:0 | 4 3 3 | 1 X 2 |

№ 31 ტირაჟის ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: 13 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 17 საათამდე.
№ 24-№ 29 ტირაჟებში შემოსული ვარიანტების რაოდენობა 6632.
ტელეფონი: 96-32-61

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე, ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 8-9 ოქტომბერი | ვერდერი — დორტმუნდი | | 1,3 | 2,2 | 5,7 |
| | კარლსრუე — ლევერკუზენი | | 2,4 | 2,0 | 2,2 |
| | ნიურნბერგი — დრეზდენი | | 1,4 | 2,1 | 5,0 |
| | ჰამბურგი — ვატენშაიდი | | 1,[illegible] | 2,6 | 7,5 |
| | კიოლნი — ბაიერნი | | 2,5 | 2,0 | 2,1 |
| | მიონხენგლადბახი — დუისბურგი | | 2,4 | 2,0 | 2,2 |
| | კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი | | 1,5 | 2,2 | 3,7 |
| | შალკე 04 — ფრაიბურგი | | 1,5 | 2,2 | 3,7 |
| | აინტრახტი — ლაიპციგი | 0:2 | 1,7 | 2,0 | 3,4 |
| 13 ოქტომბერი | პორტუგალია — შვეიცარია | | 1,3 | 2,2 | 5,7 |
| | იტალია — შოტლანდია | 0:1 | 1,4 | 2,1 | 5,3 |
| | ჰოლანდია — ინგლისი | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | პოლონეთი — ნორვეგია | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | დანია — ჩრდ. ირლანდია | 0:2 | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | ირლანდია — ესპანეთი | | 2,5 | 1,6 | 2,8 |
| | უელსი — კვიპროსი | 0:2 | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | რუმინეთი — ბელგია | | 1,7 | 2,0 | 3,4 |
| | საფრანგეთი — ისრაელი | 0:2 | 1,7 | 1,8 | 4,1 |
| | ბულგარეთი — ავსტრია | | 1,4 | 2,1 | 5,3 |
| | შვედეთი — ფინეთი | 0:2 | 1,8 | 2,0 | 3,1 |

### წინა ტურების შედეგები:

28-30 სექტემბერი. კორკ სიტი — გალათასარაი 0:1, ლევსკი — რეინჯერსი 2:1, ბარსელონა — დინამო (კ) 4:1 (1), აეკ — მონაკო 1:1, მაკაბი — ტორპედო 3:1, ბეშიქტაში — კოშიცე 2:0, გკს — ბენფიკა 1:1, ვიტესი — ნორვიჩი 0:0, ატლეტიკო — პართსი 3:0, ვალენსია — ნანტი 3:1 დ.დ. (X), ეინდჰოვენი — კარლსრუე 0:0, დანდი იუნაიტედი — ბრონდბიუ 3:1, რაპიდი — ინტერი 0:2, ლოკომოტივი — იუვენტუსი 0:1, ვლადიკავკაზი — დორტმუნდი 0:1, ოსერი — ტენერიფე 0:1, მარიტიმუ — ანტვერპენი 2:2, კალიარი — დინამო (ბ) 2:0

2-3 ოქტომბერი. სტრასბური — ბორდო 0:2, ლიონი — ნანტი 2:1, მეცი — კანი 0:0, ლივერპული — არსენალი 0:0, შეფილდ უენს. — მანჩესტერ იუნ. 2:3, ვესტ ჰემი — ჩელსი 1:0, შტუტგარტი — აინტრახტი 0:2, ბაიერნი — ჰამბურგი 4:0, ვატენშაიდი — დორტმუნდი 1:2, ატლეტიკო — რეალი (მადრიდი) 0:0, ოვიედო — სევილია 0:2, ოსასუნა — ბარსელონა 2:3, ატალანტა — სამპდორია 1:4, იუვენტუსი — ტორინო 3:2, მილანი — ლაციო 0:0, ნაპოლი — ინტერი 0:0, პარმა — ფოჯა 3:0, რომა — კრემონეზე 1:2

6 ოქტომბერი. ნანტი — მეცი 2:0, მონაკო — ლიონი 1:1, ტულუზა — ანჟერი 2:1, ლე ავრი — ოსერი 1:0, სენტ-ეტიენი — კაენი 5:0, ბორდო — მონპელიე 1:1, ლილი — სოშო 3:1, ლოგრონიესი — ბილბაო ?, ვალენსია — რაიო ვალეკანო 3:1, სევილია — ატლეტიკო ?, სპორტინგი — ტენერიფე 1:2, ალბასეტე — ლა კორუნია 0:0, რეალ-სოსიედადი — ოვიედო 2:2, სარაგოსა — ოსასუნა 2:1

# სარბიელი

## შედეგთა დაფა

### კრივი

ევროპის ჩემპიონატი. ბურსა, თურქეთი. 6-12 სექტემბერი

48 კგ. (12 მონაწილე). 1. დანიელ პეტროვი (ბულგარეთი), 2. პალ ლაკატოში (უნგრეთი), 3. მიკო მანტარე (ფინეთი) და ედუარდ გაუფილინი (რუსეთი)

51 კგ. (18). 1. რუსენ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი), 2. რიკო კუბატი (გერმანია), 3. კ. ილდირიმი (თურქეთი) და ვლადისლავ ნიმანი (ისრაელი)

54 კგ. (19). 1. რანკულ მალაპბეტოვი (რუსეთი), 2. რონერ ციბა (პოლონეთი), 3. იშტვან კოვაჩი (უნგრეთი) და კლაუტინე კრისტინე (რუმინეთი). ალბერტ კაზანჯიანი (საქართველო) მეორე წრეში დამარცხდა

57 კგ. (22). 1. სერაფიმ ტოდოროვი (ბულგარეთი), 2. რამაზ ფალიანი (საქართველო), 3. ვიაჩესლავ ვლასოვი (რუსეთი) და პოლ გრიფინი (ირლანდია)

60 კგ (21). 1. იაცეკ ბელსკი (პოლონეთი). 2. ტიბორ რაფაელი (ჩეხეთი), 3. პაატა გვასალია (საქართველო) და მიხაკ კაზარიანი (სომხეთი)

63,5 კგ (25). 1. ნურჰან სულეიმანოღლუ (თურქეთი), 2. იურქალ ოქტეი (გერმანია), 3. გევორქიანი (სომხეთი) და ლეონარდ დოროფტეი (რუმინეთი), კახაბერ ჩიქვინიძე მეორე წრეში დამარცხდა

67 კგ (29) 1. ვიტალიუს კარპასიაუსკასი (ლიტვა), 2. ქენან ონერი (თურქეთი), 3. ანდრეას ოტო (გერმანია) და მიხაილ სავიცკი (ბელარუსი). თენგიზ მესხაძე მესამე წრეში დამარცხდა

71 კგ (24) 1. ფრანსისკ ვესტაგი (რუმინეთი), 2. ორჰან დელიბაში (ჰოლანდია), 3. ჰუსეინ ყურბანოვი (რუსეთი) და ბერტ შენკი (გერმანია). მამუკა ხუტუაშვილი მეორე წრეში დამარცხდა

75 კგ (19) 1. დირკ აიგენბროდტი (გერმანია, 2. ალექსანდრ ლებზიაკი (რუსეთი), 3. ალექსანდრ დავიდენკო (უკრაინა) და აქინ ყულოღლუ (თურქეთი). თამაზ ბუაძე პირველ წრეში დამარცხდა

81 კგ. (16) 1. იგორ კშინინი (რუსეთი), 2. სინან სამილსანი (თურქეთი), 3. როსტისლავ ზაულიჩნი (უკრაინა) და სვენ ოტკე (გერმანია). ზურაბ ფალიანი მეორე წრეში დამარცხდა

91 კგ. (21) 1. გიორგი კანდელაკი (საქართველო), 2. ჰუდერ დონდიაგო (ჰოლანდია), 3. გეორგიოს სტეფანოპულოსი (საბერძნეთი) და დანი ვილიამსი (ინგლისი)

+91 კგ (16) 1. სვილენ რუსინოვი (ბულგარეთი), 2. ზურაბ სარსანია (საქართველო), 3. კევინ მაკკორმაკი (უელსი) და მ. კილსტრიომი (ფინეთი).

### ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჩეხეთი. 24 სექტემბერი — 2 ოქტომბერი

ნახევარფინალი: რუსეთი — იტალია 3:1 (9, -12, 14, 2); ჩეხეთი და სლოვაკეთი — უკრაინა 3:2 (-14, 5, 11, -6, 20). მესამე ადგილისთვის: უკრაინა — იტალია 3:1 (-15, 8, 6, 15). ფინალი: რუსეთი — ჩეხეთი და სლოვაკეთი 3:0 (10, 3, 12). 5. გერმანია, 6. ხორვატია, 7. პოლანდია, 8. ბელარუსი. 9-12. ბულგარეთი, ლატვია, რუმინეთი, საბერძნეთი

### აფროსნობა

„ვითბრედის" გარსაქვეყნო რბოლა. I ეტაპი: საუთჰემპტონი (ინგლისი) — პუნტა-დელ-ესტე (ურუგვაი)

28.IX (სტარტიდან ორი დღე-ღამის შემდეგ): „მერიტ კაპ" (შვეიცარია) 5 მილით უსწრებდა „ენდევორს" (ახალი ზელანდია). 29. IX: „ენდევორი" 1 მილით უსწრებდა „მერიტ კაპს"

მსოფლიოს ჩემპიონატი „ტორნადოს" კლასში. ლონგ-ბიჩი, კალიფორნია. 20-26. IX 1. გერმანია (ოლივერ და რენე შვალები) — 18; 2. ავსტრალია (მიჩ ტუსი, ჯონ ფორბსი; შარშანდელი ჩემპიონები) — 26

### მძლეოსნობა

ტური (საფრანგეთი). 26.IX. 20 კმ გარბენი 1. ჯულიუს ონდიეკი (კენია) 59.33,5; 2. მიჩა ბოინეტი (კენია); 3. ალექსანდრე საპრიკინი (რუსეთი)

საფრანგეთი. 26.IX. პარიზ — ვერსალის გარბენი (16,3კმ). ვაჟები: 1. რობერტ სტევკო (ჩეხეთი), 48.34. ქალები: 1. კონსესიონ ფერეირა (პორტუგალია) 54.18

სანკტ-პეტერბურგი. „ვეჩერნი პეტერბურგის" 67-ე კროსი (30 კმ). ვაჟები: 1. ა. ანტროპოვი (პეტერბურგი) 1:33.52. ქალები: 1. ტ. ივანოვა 1:48.34

### ცხენოსნობა

ლიმბურგი (ბელგია). 26. IX. „ერთვნებათა თასი" დაბრკოლებათა გადალახვაში

1. შვეიცარია (ფუქსი, ბუპოლცერი, მენდლი, მაკნოტი) — 4; 2-4. საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია — 12

### კეტბურთი

ჩრდილოეთ ამერიკის პროფესიული ლიგები ამერიკის ლიგა. აღმოსავლეთი: „ტორონტო ბლუ ჯეიზ" — „მილუოკი ბრუერზ" 2:0. მსოფლიო სერიის შარშანდელმა გამარჯვებულმა ტორონტომ პირველობა დაიცვა. დასავლეთი: „ჩიკაგო ვაით სოქს" — „სიეტლ მარინერს" 4:2. პირველობა ჩიკაგომაც გაინაღდა

ეროვნული ლიგა. აღმოსავლეთი. „ფილადელფია ფილლის" — "პიტსბურგ პაირატს" 10:7. ფილადელფიაც პირველი დარჩება. დასავლეთი. „ატლანტა ბრეივზ" — „კოლორადო როქიზ" 7:4; „ლოს ანჯელეს დოჯერს" — „სან ფრანსისკო ჯაიანთს" 7:8. ფინიშამდე 3 ტურით ადრე სან ფრანსისკო და ატლანტა ტოლად მიდიოდნენ

ლიგებში „ფლეი-ოფები" უკვე დაიწყო, ხოლო ლიგების გამარჯვებულთა „მსოფლიო სერია" — 16 ოქტომბერს

### რაგბი

ახალი ზელანდიის პროვინციათაშორისო ჩემპიონატი. I ჯგუფი

25 IX. კენტებრი 35 ველინგტონი 12; ოკლენდი 97 სამეფო ქვეყანა 3; ჩრდილოეთი ნავსაყუდელი 53 ტარანაკი 3. ნახევარფინალსა და საგაისო „ზე-ათის" შეჯიბრებაში გავიდნენ ოტაგო, ვაიკატო, ოკლენდი და ჩრდილოეთი ნავსაყუდელი

ნახევარფინალები. შაბათი, — 2 X. დანიდინი. ოტაგო 36 ვაიკატო (ჩემპიონი) 22. კვირა, 3 X. ტაკაპუნა. ჩრდილოეთი ნავსაყუდელი 20 ოკლენდი 43 (ნლ)

იაპონიის ტურნე უელსში (6 თამაში; ტესტი — 16.X)

I თამაში. 29.IX. პლანეპლი. უელსი „ა" 61 (10 ლ, 4გ, ს) იაპონია 5 (ლ). II თამაში. 2.X. დანვანტი (კლუბია) 23 (2 ლ) იაპონია 24 (3ლ)

ავსტრალიის ტურნე ჩრდილოეთ ამერიკასა და საფრანგეთში

I თამაში. 2.X. რივერსაიდი (კალიფორნია). აშშ 22 ავსტრალია 26

### ლიგის რაგბი

ახალი ზელანდიის ნაკრების "კივის" ტურნე. დიდ ბრიტანეთში (11 თამაში)

I თამაში. კვირა, 3 X. ვეჯფილდი, სვონზი. უელსი 19 (9) (ლ, 7 გოლი, ა) ახალი ზელანდია 24 (12) (3 ლ, 6 გოლი). პირველი ტესტი „უემბლიზე" გაიმართება 16 ოქტომბერს

### ჩოგბურთი

დევისის თასი (24-26.IX)

მსოფლიო ჯგუფის ნახევარფინალები. ბურლენგე. შვედეთი — გერმანია 0:5. 24.IX. გუსტაფსონი — შტიხი 2:6, 3:6, 6:3, 2:6; ედბერგი — გელნერი 3:6, 6:4, 4:6, 6:7. 25.IX. პოლში და იარიდი — შტიხი და კიუნენი 4:6, 4:6, 6:7. 26.IX. ედბერგი — შტიხი 1:6, 1:6; პოლში — გელნერი 6:7, 4:6. ჩანდიგარხი. ინდოეთი — ავსტრალია 0:5. 24.IX. პაესი — სტოლტენბერგი 3:6, 6:7, 2:6; კრიშნანი — მაზური 2:6, 0:6, 4:6. 25.IX. კრიშნანი და პაესი — ვუდბრიჯი და ვუდფორდი 2:6, 6:7, 1:6. 26.IX. პაესი — მაზური 4:6, 2:6; ალი — სტოლტენბერგი 3:6, 3:6

საგაისოდ მსოფლიო ჯგუფში სათამაშოდ. დანია (კარლსენი, ფეტერლაინი, კრისტიანსენი) — ხორვატია (პრპიჩი, ივანიშევიჩი) 3:2. შარლოტი. აშშ (ვაშინგტონი, პ.მაკინროუ, რენებერგი) — ბაჰამა (ნოულესი, სმითი) 3:0. სეული. კორეა (ჩან უიონგი, კიმ ჩივანი, შინ პანჩული) — ესპანეთი (კარბონელი, კოსტა, ბრუგერა) 0:5. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი (ჩერკასოვი, ოლხოვსკი, კაფელნიკოვი) — კუბა (პინო, ტაბარესი) 5:0. ბუდაპეშტი. უნგრეთი (ნადი, ნოსოლი, კროჩკო) — არგენტინა (ალბანო, ფრანა, მანჩინი) 4:1. კრაისთჩერჩი. ახალი ზელანდია (ევენდენი, სტივენი) — ავსტრია (ანტონიჩი, ბუხმაიერი, სკოფი) 2:3. თელ-ავივი. ისრაელი — შვეიცარია 3:2. ბრიუსელი. ბელგია (დე ვულფი, ვან დუდტი, ვიუიტსი) — ბრაზილია (მატარი, მოტა, მელიყენი) 2:1.

მეორე ჯგუფი. ევროპა-აფრიკის ზონა. ბუქარესტი. რუმინეთი (ვოსაკი, პორუმბი, პესკარიუ, საბეუ) — მაროკო (ელაიანუი, რიდავი) 4:1. დაკარი. სენეგალი (ა. ბერტი, ფ. ბერტი) — სამხრეთი აფრიკა (ფერეირა, ნორვალი, ონდრუშკა) 0:5

კუალა-ლუმპური. მალაიზიის ღია პირველობა. 27.IX-3.X. საპრიზო ფონდი — 300 ათასი დოლარი. ნახევარფინალები: მაიკლ ჩანგი (აშშ, განთესვის ნომერი 2) — გრანტ სტაფფორდი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:3; იონას სვენსონი (შვედეთი) — ნილ ბორვიკი (ავსტრალია) 6:2, 3:6, 6:4. ფინალი: ჩანგი — სვენსონი 6:0, 6:4. ჩანგმა წელს მეოთხე ტურნირი მოიგო. ჯიმ კურიემ (1) მეორე წრეში წააგო იაკო ელტინგთან (ჰოლანდია) 4:6, 3:6, რომელსაც მეოთხედფინალში მოუგო სვენსონმა 6:3, 6:2

ბაზელი (შვეიცარია). საერთაშორისო ტურნირი ჭერქვეშ. 27.IX-3.X. საპრიზო ფონდი — 800 ათასი დოლარი. მეოთხედფინალები: მიხაელ შტიხი (გერმანია, 2) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:2, 6:1; მარტინ დამ (ჩეხეთი) — არნო ბეში (საფრანგეთი, 6) 3:6, 6:4, 7:6; სტეფან ედბერგი (შვედეთი, 1) — ამოს მანსდორფი (ისრაელი, 7) 7:6, 1:6, 6:4; მარკ როსე (შვეიცარია, 5) — დავიდ პრინოსილი (გერმანია) 7:6, 6:2. ნახევარფინალები: შტიხი — დამი 7:6, 6:4; ედბერგი — როსე 6:4, 7:6. ფინალი: შტიხი — ედბერგი 3:1 შტიხმა ედბერგს ბოლო ათ დღეში მეორედ მოუგო. ივან ლენდლი (აშშ, განთესვის ნომერი 4) პირველ წრეში დამარცხდა იან სიმერინკთან (ჰოლანდია) 5:7, 6:7.

პალერმო (იტალია). სიცილიის ღია პირველობა. 27.IX-4.X. საპრიზო ფონდი — 300 ათასი დოლარი. მეოთხედფინალები: სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 1) — ფრედერიკ ფონტანი 5:2 (ფონტანი დანებდა), ფრედერიკო სანჩესი (ესპანეთი) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 6:4 (კოსტა დანებდა); თომას მუსტერი (ავსტრია, 2) — ლუიშ მატარი (ბრაზილია) 7:6, 6:1; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — ალექს კორეჩია (ესპანეთი) 7:6, 2:6, 6:4. ნახევარფინალები: ბრუგერა — ფ. სანჩესი 6:1, 6:3; მუსტერი — გაუდენცი 7:5, 6:0. ფინალი: მუსტერი — ბრუგერა 7:6 (7:2), 7:5

ლაიფციგი (გერმანია). „ფოლქსვაგენის" თასი — ქალთა საერთაშორისო ტურნირი. 27.IX-3.X. საპრიზო ფონდი — 375 ათასი დოლარი. მეოთხედფინალები: შტეფი გრაფი (გერმანია) — ნატალია ზვერევა (ბელორუსია) 6:2, 6:1; იუდით ვიზნერი (ავსტრია) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:7, 7:5, 6:2; იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 2-0; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — პეტი ფენდიკი (აშშ) 6:1, 6:1. ნახევარფინალები: გრაფი — ვიზნერი 6:7, 6:2, 6:3; ნოვოტნა (დაბადების დღეს) — მარტინესი 6:1, 6:1. ფინალი: გრაფი — ნოვოტნა 6:0, 6:4. ახლა გრაფი ქრონიკულად მტკივანი ტერფის ოპერაციას გაიკეთებს, რის გამოც ერთი თვე გაუცდება

საპორო (იაპონია). ღია პირველობა. 27.IX-3.X. საპრიზო ფონდი — 100 ათასი დოლარი. ფინალი: ირინა სპირლია (რუმინეთი) — ნოელ ვან ლოტუმი (საფრანგეთი) 4:6, 6:4, 6:3

სიდნეი. ავსტრალიის ჭერქვეშა ჩემპიონატი. საპრიზო ფონდი — მილიონი დოლარი. პირველი წრე. 5.X. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — ბრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) 7:6, 6:4; მიქაელ პერნფორსი (შვედეთი) — პატრიკ მაკინროუ (აშშ) 6:3, 6:3; რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:1, 4:6, 7:5; სტივ ბრაიანი (აშშ) — ჩაკ ადამსი (აშშ) 6:2, 3:6, 6:3; ჯიმ კურიე (აშშ) — ალექსანდრ მრონცი (გერმანია) 6:2, 7:5; ჯიმ მორგანი (ავსტრალია) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 2:6, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — ივან ლენდლი (აშშ) 4:6, 7:6, 6:4. 33 წლის ლენდლი წლეულს მეცხრედ დამარცხდა პირველსავე წრეში. უელი მაზური (ავსტრალია) — იაკო ელტინგი (ჰოლანდია) 6:1, 6:1, ხაიმე ისაგა (პერუ) — ბრედ გილბერტი (აშშ) 6:2, 6:2. მეორე წრე. ჯიმ კურიე (აშშ, განთესვის ნომერი 1), — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:4, 6:3; მიქაელ პერნფორსი (შვედეთი) — ჯეიმს მორგანი (ავსტრალია) 6:3, 4:6, 6:3.

ტულუზა. ვაჟთა ტურნირი. საპრიზო ფონდი 400 ათასი დოლარი. პირველი წრე. 6.X. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — მათს ვილანდერი (შვედეთი) 7:5, 6:3; მარკ როსე (შვეიცარია) — ანრი ლეკონტი (საფრანგეთი) 6:1, 6:2

### ხელბურთი

ევროპის ქალაქთა თასი. პირველი წრე. ვაჟები. „კარლოვაცკა პივოვარა" (ხორვატია) — „კოლხეთი-91" (თბილისი) 42:7 (18:3), 33:13 (15:7)

ევროპის ფედერაციის თასი. პირველი წრე. ვაჟები. „მონპელიე" (საფრანგეთი) — „მამული" (თბილისი) 35:17 (15:6). „მამული": ყაველაშვილი (6 გოლი, ექვსივე პენალტით), უშვერიძე (5, 1), ლლონტი (3), გაბრიჩიძე (2), ჯიაძე (1)

## საჯილდაო

### მეექვსე წრის პასუხები

(1) რომელმა ქალაქებმა (დაბებმა) უმასპინძლეს ორ-ორ ოლიმპიადას? რომელ წლებში? — პარიზმა (1900, 1924), ლონდონმა (1908, 1948) და ლოს-ანჯელესმა (1932, 1984) — ზაფხულის ოლიმპიადებს; სანკტ-მორიცმა (1928, 1948), ლეიკ-პლესიდმა (1932, 1980) და ინსბრუკმა (1964, 1976) — ზამთრის ოლიმპიადებს

(2) მსოფლიოს რამდენი მოჭადრაკე კაცი ჩემპიონი ჰყოლია? მათგან ვინაა ცოცხალი? — ცამეტი; მათგან ცოცხლები არიან ბოტვინიკი, სმისლოვი, სპასკი, ფიშერი, კარპოვი და კასპაროვი

(3) რა სიმაღლეზე ჰკიდია კალათბურთის კალათი? რატომ? — 3 მეტრსა და 05 სანტიმეტრზე, რაც ამერიკულად 10 ფუტის ტოლია

(4) სად იმართება რაგბის „ქარის თასის" გათამაშება? რომელი გუნდები მონაწილეობენ? — სამხრეთ აფრიკაში; მონაწილეობენ დასავლეთი და აღმოსავლეთი კონცხი; ნატალი და ნარინჯი; ტრანსვაალი და ჩრდილოეთი ტრანსვაალი

(5) როდის შიიმართა ნჰლ-ისა და სსრკ-ის ჰოკეისტთა პირველი სერია? როგორ დასრულდა მისი ამერიკული და ევროპული ნახევრები? — 1972 წლის შემოდგომაზე; ამერიკული ნახევარი მოიგეს რუსებმა 2-1 (1 ფრე), ევროპული — კანადელებმა 3-1

(6) ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში რომელი დამთავრდა უმცირესი ანგარიშით? როდის? ვინ ვის სძლია? გოლი ვინ და როგორ გაიტანა? — 1990 წელს; გერმანიამ მოუგო არგენტინას 1:0; გოლი პენალტით ბრემემ გაიტანა

(7) მძლეოსნობის რომელ სახეობაში შეცვალეს იარაღი ბოლო ხანებში? რატომ? — შუბის ტყორცნაში, ვინაიდან ძველებურ შუბს უკვე ტრიბუნებამდე ტყორცნიდნენ

(8) მობურთალთა რომელი ქართული გუნდი დააღალატა იური კლიმოვმა? როდის და ვის წინააღმდეგ? რა ჩაიდინა? — 1965 წელს კლიმოვმა თბილისის ხელბურთის გუნდ „ქარიშხალას" შემადგენლობაში იუგოსლავიის „მედვეშჩაკის" წინააღმდეგ თამაშის დროს ბოლო წუთზე უდროოდ ტყორცნა კარში, რაც ჩვენებს შეჯიბრებიდან გავარდნად დაუჯდათ

(9) რა მიმართებაა ჩოგბურთის „დიდი სლემის" პროგრამასა და დევისის თასის გამარჯვებულთა ვინაობას შორის? — როცა „დიდ სლემს" აწესებდნენ, მის პროგრამაში იმ ოთხი ქვეყნის პირველობები შეიტანეს, რომელსაც იმ დროისთვის დევისის თასი ჰქონდა მოგებული

ჭადრაკი

## «ჩემპიონთა ჩემპიონატი»

დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში იწყება საქართველოს ვაჟთა 53-ე ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობენ: დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, საერთაშორისო ოსტატები გია ბაღათუროვი, თამაზ ტაბატაძე, ფიდე-ს ოსტატი ვარლამ ვეფხიშვილი (თბილისი), ოსტატი გოჩა ტყებუჩავა (სენაკი), ოსტატობის კანდიდატები ზვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი), რევაზ დადიანი (სოხუმი), ალექსანდრე დგებუაძე, გივი გოგიჩაიშვილი, კახა შალამბერიძე, 16 წლის გიორგი ყაჭეიშვილი და უკონკურსოდ მონაწილე საერთაშორისო ოსტატი, 17 წლის ნინო ხურციძე. ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თენგიზ გიორგაძემ გვიამბო:

— ტურნირში შეხვედრები იმავე დღეს უნდა დამთავრდეს. პარტიები არ გადაიდება: 6-საათიანი თამაშის შემდეგ მეტოქეებს კიდევ ნახევარ-ნახევარი საათი მიეცემათ, რაც სიმძაფრეს შემატებს ისედაც მოსალოდნელ შმაგ ორთაბრძოლებს.

ამ ტურნირს თამამად შეიძლება ჩემპიონთა ჩემპიონატი ვუწოდოთ. საქართველოს ჩემპიონები ყოფილან ბუხუტი გურგენიძე (თერთმეტჯერ), გია ბაღათუროვი, თამაზ ტაბატაძე და ალექსანდრე დგებუაძე, თბილისის ჩემპიონები — გივი გოგიჩაიშვილი და კახა შალამბერიძე, აფხაზეთის ჩემპიონი — რევაზ დადიანი, ხოლო ზვიჩა სუპატაშვილი საქართველოს 1992 წლის ჩემპიონია. ნინო ხურციძეც საქართველოს 1992 წლის ჩემპიონია, ოღონდ ქალთა შორის. იგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონიც იყო თანატოლ გოგონათა შორის. ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით უნდა დაკომპლექტდეს საქართველოს ნაკრები, რომელიც ოქტომბრის დამლევს მონაწილეობას მიიღებს 26 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე, ბრაზილიაში. ნინო ხურციძე კი თეა ლანჩავასთან ერთად ნოემბერში უნდა გაემგზავროს ინდოეთში 20 წლამდე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატზე.

ნინო იმესაშვილი

ძალოსნობა

## ნაბიჯი მსოფლიოს თასისკენ

შარშანდელი მსოფლიოს თასის მფლობელი კახი კახიაშვილი კარდიფში გამართულ „ვერცხლის დრაკონის ტურნირზე" მთავარ პრიზს დაესაკუთრა.

— ამ გამარჯვებით საერთო ჩათვლაში მორიგი 10 ქულა მოვიპოვე და ახლა 30 ქულით შარშანდელი წარმატების გამეორების შანსი მაქვს — თქვა კახიმ — მართალია, შეჯიბრებაში უძლიერეს ძალოსნებს მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ისეთი სიმძიმეები დავძლიე, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც ნოემბერში ავსტრალიაში გაიმართება, კმაყოფილი ვარ. მსოფლიოს თასის გალა-ტურნირი კი დეკემბერში, პარიზში შედგება, სადაც წლის საუკეთესო ძალოსანს გამოავლენენ.

კახიაშვილის მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა აღნიშნა, რომ უელსში სხვა ქართველი ძალოსნების წაყვანა არ მოხერხდა, თორემ კიდევ რამდენიმე მედლის მოპოვება შეიძლებოდა. კახიზე კი ბატონმა ვანომ ბრძანა: დიდ სტარტამდე ერთი თვით ადრე მას ასეთი შედეგისთვის არასდროს მიუღწევია. ეს გვაიმედებს, რომ 12 ნოემბრისთვის იგი საუკეთესო ფორმაში იქნება.

სინქრონული ცურვა

## ახალი ჩემპიონი?

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ოლიმპიური მატიანის ერთი კარი თავიდან უნდა დაიწეროს.

1992 წელს, ბარსელონაში, სინქრონულად მოცურავე სოლისტების შედეგი აქამდე ასე გამოიყურებოდა: 1. კრისტენ ბაბშპრაგი (აშშ) 199,848; 2. სილვი ფრეშეტი (კანადა) 191,717; 3. ფუმიკო ოკუნო (იაპონია) 187,056.

ახლა ამ შეჯიბრების ერთ-ერთმა მსაჯმა, კერძოდ კი ბრაზილიელმა აღიარა, რომ თავის დროზე ტაბლოსთვის სწორი ინფორმაციის გადაცემა შეშლია, რის გამოც ფრეშეტს თურმე პირველობა დაუკარგავს.

ეს რომ კანადელებმა შეიტყვეს, წყალჯომარდობის საერთაშორისო ფედერაციაში (FINA) იჩივლეს, ამათ კი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) სთხოვეს, რომ 1992 წლის ოლიმპიადის ჩემპიონად სილვი ფრეშეტი გამოცხადდეს.

რაც შეეხება ბაბ-შპრაგს, ფინა-ს უთქვამს, დაე, ოქროს მედალი მასაც ჰქონდეს. აბა, ახლა ხომ არ ჩამოვართმევთო!

რაგბი

# შემოდგომა დადგაო

რაგბი ეკვატორს ქვემოდან ზემოთ ინაცვლებს: სამხრეთ ნახევარსფეროში სეზონი მთავრდება, ჩრდილოეთში კი ახალი დაწყებულია. მძლევარ ფრინველთა სეზონური მიგრაციისა არ იყოს, გუნდებიცა და მოთამაშეებიც ჩრდილოური რაგბის საუფლოსაკენ — ხუთი ერის პირველობის ქვეყნებისაკენ ისწრაფვიან, თუმცა გამონაკლისებიც გვხვდება.

იაპონიამ და ავსტრალიამ ტურნეები უკვე დაიწყეს, სამხრეთი აფრიკის ორი გუნდი — „ქურციკები" (ეროვნული ნაკრები) და „ბარბაროსები" (ნაკრების წარჩენები) კი სამოგზაუროდ ემზადებიან. „ქურციკები" არგენტინელ „პუმებს" უნდა ეწვიონ მას შემდეგ, რაც 16 ოქტომბერს საშინაო სეზონს მორჩებიან. ამ დღეს იოჰანესბურგის „ელის პარკზე" „ქარრის თასის" ფინალში ტრანსვაალმა ნატალს უნდა უმასპინძლოს.

ნატალის ყოფილმა მწვრთნელმა იენ მაკინტოშმა გამოაქვეყნა იმ 26 „ქურციკის" სია, ვისაც არგენტინაში უპირებს წაყვანას. ზაფხულში ავსტრალიაში ნამყოფი გუნდისგან განსხვავებით



უელსური რაგბის დეზერტირები: რიჩარდ ვებსტერი (1993) და ჯონათან დევისი (1989)



სიაში 7 ახალბედაა: მცველი დერქსი, 9 ნომერი მარტენსი და მორკინალები: კებლი, ლერუ, მ.ენდრიუსი, ონდრუშკა და ტიტმენი. რაც შეეხებათ „ბარბაროსებს", ისინი ინგლისში, უელსსა და ირლანდიაში აპირებენ 8 თამაშის გამართვას. ტურნე 19 ოქტომბერს „გლოსტერთან" შეხვედრით დაიწყება და 6 ნოემბერს „ბასთან" (ინგლისის უძლიერეს კლუბთან) მატჩით დამთავრდება.

სამხრეთაფრიკელები მსოფლიოს ედებიან, შინ კი სიმშვიდე ვერა და ვერ დაიმყარეს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გაისად, 27 აპრილს პირველი არარასისტული საყოველთაო არჩევნები უნდა გაიმართოს, მასობრივი პოლიტიკური ტერორი არა და არ წყდება — სხვადასხვა ტომის ზანგები ერთმანეთს პერიოდული ინტენსიობით დიდი ქალაქების ხან ერთ გარეუბანში ხოცავენ, ხან — მეორეში. ამის შემყურე რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ), მეტადრე კი მსოფლიო თასის კომერციულმა დირექტორმა, ფრანგმა მარსელ მარტენმა შენიშნა, რომ სამხრეთ აფრიკაში ყოფნის დროს ყველა ჯურის პოლიტიკური ლიდერი სულ იმას არწმუნებს ხოლმე, 1995 წელს ჩვენთან გასამართი რაგბის მსოფლიო თასის წარმატება მსურსო, მაგრამ თუ როგორი იქნება ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარება შეჯიბრების დაწყებამდე არათუ წელიწადნახევრით, არამედ ერთი დღით ადრე, ჯადოსნური სარკის უქონლობის გამო მისი განჭვრეტა მარტენს თურმე ვერ შესძლებია.

სამხრეთი აფრიკის გარდა საშინაო სეზონი დასამთავრებელი აქვთ ახალზელანდიელებსაც, მერე კი „ჰაიდა" და ინგლის-შოტლანდიის ტურნეც მოვა, რომლის დროსაც „ოლ ბლექსი" 20 ნოემბერს თვიქნემში გამართავს ტესტს, 27 ნოემბერს კი — მარიფილდში. აი, მანამდე კი, ანუ ამ კვირადღეს, 10 ოქტომბერს, ოკლენდის „იდენ პარკზე" თამაშთა თამაში — პროვინციათა ჩემპიონატის ფინალია სათამაშო.

წინა უქმეებზე ნახევარფინალები გაიმართა. თუ კიდევ ერთი კვირის წინ შარშანდელმა ჩემპიონმა და ოკლენდისთვის „რანფერლის ფარის" ახლახან წამრთმეველმა ვაიკატომ შინ, ჰემილტონში ფარი ოტაგოს ხელყოფისაგან დაიცვა, ნახევარფინალში უკვე სტუმრად, დანიდინში მოუწია თამაში და წააგო (22:36 12:22). ამ დღეს ოტაგოს უკანა ხაზი ბურთის გათამაშების იოტისოდენა შანსსაც არ უშვებდა ხელიდან. რაც შეეხებათ უკვე ექს-ჩემპიონებს, მათ ათამაშეს ხულიგანი რიჩარდ ლოუ, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინ, ისევ და ისევ ოტაგოს წინააღმდეგ, შარშანდელ ფინალში, მეტოქის მცველს ლამის იყო თვალი ამოსთხარა, რის გამოც 6-6-თვიანი საგარეო და საშინაო დისკვალიფიკაციები დაიმსახურა და ერთი წელი გაუცდა. საგულისხმოა, რომ ნახევარფინალში ლოუმ ითამაშა მეორე ხულიგნისა და ასევე ოლბლექსელის — გრემ პურვისის ნაცვლად, რომელმაც ერთ-ერთ მეტოქეს ყბა გაუტეხა, მერე კი მსაჯთა ასოციაციის მოთხოვნით სამაგალითოდ დასაჯეს.

მეორე ნახევარფინალში ოკლენდმა თავისივე გარეუბანი — ჩრდილოეთი ნავსაყუდელი დაამარცხა 43:20 და ახლა იმის წყალობით, რომ ჩემპიონატის წრიულ ეტაპზე ოტაგოს სტუმრად ეთამაშა წააგო (21:25), ფინალს შინ გამართავს, რაც ფარდაკარგული გუნდისთვის დიდი უპირატესობა უნდა იყოს.

თუ „ოლ ბლექსი" სატურნეოდ ჯერ მხოლოდ ემზადება, მსოფლიოს ჩემპიონი — ავსტრალიის „ვოლაბი" ჩრდილოეთ ამერიკის გავლით საფრანგეთს გაემგზავრა. გზად სტუმრები კალიფორნიაში ჩამოხდნენ და ოდენ 26:22 სძლიეს აშშ-ის „არწივებს", რომლებმაც „ვოლაბებთან" წინა შეხვედრა 1990 წლის ივლისში 9:67 წააგეს. ავსტრალიელები ხვალ კალგარიში ეთამაშებიან „არწივებზე" ბევრად ძლიერ კანადას. ამ თამაშს დაესწრებიან აზიისა და წყნარი ოკეანის გამომგამოლმა ქვეყნების სარაგბო ყრილობის დელეგატები, რომელთა შორისაც საქართველოს წარმომადგენელი უფულობის გამო არა ჰყავს; მერე კი „ვოლაბები" ჩავლენ საფრანგეთს და იქ რვა თამაშს გამართავენ, მათ შორის — ორ ტესტს.

თუ ავსტრალიელებს საფრანგეთში დღე-დღეზე ელიან, ორი გუნდი უკვე ბრიტანეთშია. ერთი მათგანი აზიის ჩემპიონი — იაპონიის სარაგბო ნაკრებია, მეორე — ახალი ზელანდიის ლიგის რაგბის ნაკრები, მეტსახელად „კივი". „სარბიელის" მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ რაგბი და ლიგის რაგბი ორი სრულიად დამოუკიდებელი სპორტია; ასე რომ, ამ ორ ტურნეს, წესით და რიგით, საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. ასეც იქნებოდა, უელსი რომ არა. საქმე ისაა, რომ ზედ ამ ტურნეების წინ „სვონზის", უელსისა და „ბრიტანელი ლომების" ფრთის მორკინალი, 26 წლის რიჩარდ ვებსტერი, ვისაც 13 კეპი მოუგროვებია, ხუთი წლის განმავლობაში შეპირებული 150 ათასი გირვანქის ხათრით ინგლისის ლიგის კლუბ „სოლფორდში" გადავიდა, რითაც შეიქნა მე-15 უელსელი, ვისაც სამშობლო აგრერიგად დაუღალატებია.

როგორც დეზერტირმა ვებსტერმა აღნიშნა, ცინიკოსები უმალ კონტრაქტის სიდიდეს შეედავნენ, თორემ ლიგაში ოდენ იმიტომ გადავედი, რომ ჩემი შესაძლებლობების გამოცდა მსურსო. ლიგის რაგბში მიწვევა, ვებსტერის აზრით, დიდი პატივი ყოფილა, რაკილა ყველა მორაგბეს როდი ეძლევა ამ დიდებულ თამაშში მონაწილეობის შანსი. მან ისიც შენიშნა, რომ მასა და უელსის რაგბის კავშირს თავ-თავიანთი გეგმები ჰქონიათ და რომ იგი ვერაა იმ ყალიბის მოთამაშე, რომლის საქციელსაც უელსური რაგბის დაქცევა ხელეწიფება ლიგაში ნაკრების მოთამაშეთა ლიანგის გადაბირებით.

ვებსტერის ბოლო მოსაზრება სრული ჭეშმარიტებაა. მართლაც, იგი აბა სად მოვა ჯონათან დევისთან, რომელმაც იგივე გმირობა 1989 წლის დამდეგს ჩაიდინა და ბევრნიც თან გაიყოლია, რამაც უელსური რაგბის დონე საგრძნობლად დასცა.

დევისმა და კომპანიამ, ანუ რაგბის დეზერტირებმა შეადგინეს უელსის ცამეტკაციანი ნაკრების ბირთვი, რომელიც კვირას, ტურნეს პირველ მატჩში „კივის" დაუხვდა. ამ ტურნეზე ახალზელანდიელები ერთობ კურიოზულ სიტუაციაში არიან. ძათი გუნდი ძირითადად შედგება იმ მოთამაშეებისაგან, რომლებიც ავსტრალიაში, „ვინფილდის თასზე" ასპარეზობენ. სხვათა შორის გაისად ახალ ზელანდიაში შეიქმნება ახალი კლუბი „ოკლენდ ვორიორზ" (ოკლენდელი მეომრები), რომლებიც ასევე „ვინფილდის თასზე" ითამაშებს. მაშინ რა გასაკვირია, თუ ჩვენი „ერქვანი" ყოფილი საბჭოეთის ლიგაში ჩაებმება? როგორც ირკვევა, ლიგის რაგბში ამგვარი გაუცხოება წესად ჰქონიათ!

ჰოდა, „კივის" ბირთვს ავსტრალიელი ახალზელანდიელები კი შეადგენენ, მაგრამ არც ბრიტანელი ახალზელანდიელები არიან ჯაბანნი. „კივის" მწვრთნელის, ჰოვარდ ტამატის ჰირად, ბრიტანეთში მოთამაშე თანამემამულენი ტურნეს განმავლობაში თავისი ქვეყნის ნაკრებს თავ-თავიანთი კლუბების სახელით ეთამაშებიან და მხოლოდ ტესტებისთვისღა მოიცლიან, ახალი ზელანდიის სახელით დიდ ბრიტანეთს რომ ეთამაშონ. ერთი სიტყვით, ტურნეს მანძილზე ზელანდიელები ორ ცეცხლს შუა იტრიალებენ.





მარჯვენა ბურჯი — ვაიკატოელი რიჩარდ ლოუ

ამისდა მიუხედავად, „კივიმ" სვონზიში მაინც სძლია უელსს 24:19 (12:9). ვებსტერს, როგორ სულ ახალბედას, არ უთამაშია. იგე კი, თამაშის განმავლობაში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. სტუმრებმა მესამე, გადამწყვეტი ლელო შეხვედრის მიწურულს გაიტანეს, მაგრამ თამაშის მთლად ბოლოს უელსმა შეუტია და ორიოდე გოჯი დააკლდა ლელოს გატანამდე, რომელიც გარდასახვის შემთხვევაში კიდეც გაამარჯვებინებდა.

ვებსტერი, როგორც რაგბიდან მოკვეთილი, რაღა თქმა უნდა, ვერ ითამაშებს ვერც უელსის ნაკრებში, რომელიც „არმზ პარკზე" 16 ოქტომბერს იაპონიას ეთამაშება. აზიელებმა ტურნეს ექვსმატჩიანი პროგრამის ორი თამაში გამართეს. ისევე, როგორც ბრიტანეთში პირველი ჩასვლის დროს, 1973 წელს, ახლაც სასტიკად 5:61 დამარცხდნენ უელსის „ა" ნაკრებთან, რომელშიც პირველი გუნდის 11 წევრი თამაშობდა. ტურნეზე უსუსტეს მეტოქესთან, კლუბ „დანვანტთან" გამარჯვებას, აზიელებმა მას ახალი წესების წყალობით მიაღწიეს — მეტოქეს ლელოთი მეტი გაუტანეს და ქულით მეტი მოაგროვეს, თორემ ძველი ნიხრით თამაში ფრედ 21:21 დამთავრდებოდა. მოთამაშეთა „ჩასიძების" ლმობიერი შინაური კანონების გამო იაპონელებმა „დანვანტს" სამი ცნობილი მამლუქი — ავსტრალიელი გარემარბი იენ ვილიამზი, სამოელი შუამარბი ტუპო ფაამასინო და ფიჯელი მორკინალი კალეტა შეახვედრეს, მაგრამ თავი მკვიდრმა იაპონელებმა — დამრტყმელმა ტაცუო მაედამ და ფრთის მორკინალმა ფუროხიჩა ოუჩიმ ისახელეს. ოუჩიმ, რომელიც „ერისკაცობაში" ბუდისტი ბერი ყოფილა, ლელოც გაიტანა, მაგრამ მერე მუშტი-კრივის ატეხვისთვის შოტლანდიელმა მსაჯმა ბაჩიგალუპომ მოედნიდან გააძევა.

ზაალ გიგინეიშვილი

# ავსტრალიური ბურთაობა

ავსტრალიური ბურთაობა (Australian Rules Football), ისევე როგორც ამერიკული, მისი მშობელი ქვეყნის კულტურისა და ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამას თუნდაც ორი-სამი წლის წინანდელი მაგალითი მოწმობს: მაშინ მობურთალთა უმთავრესი შეჯიბრების ერთ-ერთი ნახევარფინალი უიშვიათესი შედეგით — ფრედ დამთავრდა, რის გამოც გადათამაშება და დიდი ფინალის ერთი კვირით გადადება გახდა საჭირო. ამან ლამის 'იყო მთელი ქვეყანა არივდარია: თურმე ყველა ავსტრალიელს, საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად, გარჯა და უქმობა ბურთაობის სეზონის განრიგისთვის შეეწყო, ახლა კი უეცრად გეგმების შეცვლა უწევდა.

როგორც ავსტრალიელები ამტკიცებენ, მათი ბურთაობა ერთობ თვალწარმტაცი და ამაღელვებელი თამაშია, რის გამოც მსოფლიოში უპირველესი სპორტია მატჩებზე მაყურებლის დასწრების საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით. თუ რამდენია ეს საშუალო, ვერ დავადგინეთ, მაგრამ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთხსენებულ დიდ ფინალს მელბურნის კრიკეტის მოედანზე (MCG) ყოველწლიურად სულ ცოტა 90 ათასი კაცი ესწრება ხოლმე.

ავსტრალიურ ბურთაობასა და კრიკეტს უმთავრესი სტადიონი საზიარო აქვთ. ეს საერთო ისტორიული ფესვებით აიხსნება. საქმე ისაა, რომ 1858 წელს ბურთაობის პირველი კლუბი — მელბურნისა იქაური კრიკეტის კლუბის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. მიზეზი ის იყო, რომ მოკრიკეტეები ზამთარში უქმად იხდნენ, რაკილა კრიკეტი ზაფხულის სპორტია, და ახალ გასართობს ეძებდნენ.

ასეთი თავშესაქცევი თამაში ორმა მოკრიკეტემ — ვინმე ჰარისონმა და მისმა ბიძაშვილმა უილისმა მოიგონეს. ამით 'ათ მელბურნში, რომელიც იმ დროს ვიქტორიის კოლონიის დედაქალაქი იყო, ერთიანი ავსტრალია კი, როგორც პოლიტიკური წარმონაქმნი, ჯერაც არ არსებობდა; ერთხელ და სამუდამოდ შეავიწროეს ბურთაობის ორი სხვა სახეობა — ინგლისური რაგბი და ირლანდიური (გელური) ბურთაობა. გელური თამაში დღესაც ოდენ ირლანდიაშია გავრცელებული, მსოფლიო სპორტი — რაგბი კი ვიქტორიის შტატში იმდენად სუსტადაა განვითარებული, რომ არათუ საერთაშორისო, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც სათვალავში ჩასაგდები არაა.

ჰარისონს და უილისს იმთავითვე დაუთქვამთ, უნი ალური, ძირისძირამდე ავსტრალიური თამაში მოეგონებინათ. თუ მათამდე ავსტრალიური ბურთაობა ფეხბურთის, რაგბის, გელური ბურთაობისა და საზრიანობის ქაოსური ნაზავი იყო, 1866 წლის 8 მაისიდან, ანუ მელბურნის თარხან ქვისმთლელთა („ფრიმეისონების“) სასტუმროში შეკრების შემდეგ დადგინდა თამაშის პირველი რვა წესი, რომელთა უმრავლესობასაც ყავლი ჯერაც არ გასვლია.

მერე და მერე ვიქტორიული თამაში კონტინენტის სხვა კოლონიებშიც გავრცელდა. მისიონერები სამხედრონი და მოხეტიალე ოქროს მაძიებლები იყვნენ. 1877 წელს ვიქტორიის ბურთაობის ასოციაცია დაარსდა. ერთი წლის შემდეგ ა' ოციაცია სამხრეთ ავსტრალიაში შეიქმნა, მერე — დასავლეთ ავსტრალიაშიც, 1906 წელს კი, XX საუკუნის გარიჟრაჟზე კოლონიათა კავშირად გაერთიანების კვალად ავსტრალიის ბურთაობის საბჭოც ჩამოყალიბდა.

საბჭოში ვიქტორიელები გაბატონდნენ. ამ გაერთიანებამ 1908 წელს მელბურნში ქვეყნის პირველი ჩემპიონატიც გამართა შტატების ნაკრებებს შორის, თუმცაკი კოლონიათაშორისო პირველი მატჩი ვიქტორიასა და სამხრეთ ავსტრალიას შორის ჯერ კიდევ 1879 წელს გაიმართა მელბურნში. ამგვარი შეჯიბრებები კვლავაც ეწყობა: შტატებსშორისი შეხვედრები — ყოველწლიურად, შტატთა ჩემპიონატი — ყოველ სამ წელიწადში. ამ უკანასკნელში უმეტესად თამაშის ადგილის დედა — ვიქტორია იმარჯვებს.

## დიდი მოედანი, კვერცხა ბურთი, ოთხძელა კარი

მოდით, ახლა ავსტრალიური ბურთაობის წესებსა და იერსაც გავეცნოთ.

კრიკეტთან ადრეული დანათესავების გამო ბურთაობის მოედანიც ოვალურია: გრძელი ღერძი 135-185 მეტრი აქვს, მოკლე — 110-155 მეტრი. ამ განზომილებათა სიდიადის წარმოსადგენად გავიხსენოთ, რომ ევროპული ფეხბურთის მოედნის შესაბამისი ზომები საშუალოდ 110-70 მეტრია, რისი წყალობითაც ავსტრალიური ბურთაობა სამშობლოს გარეთ ფეხს ვერ იკიდებს, რაკილა მისი შესაფერისი სტადიონები არსადაა.

ბურთი ოვალურია, თუმცაღა 1867 წლამდე მრგვალი ყოფილა. ეს, თუ არ გვეშლება, მრგვალი ბურთის გაკვერცხისებრების ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიო სპორტის მასშტაბით.

ზომით ბურთი მთლად მოედნის საკადრისი ვერაა — რაგბისაზე სულ ოდნავ მცირეა; სამაგიეროდ, მეტადაა გაბერილი, რის გამოც ცოტათი მძიმეა, და კიდევ, რაც ზომებთან არაფერ შუაშია, გარსი წითელი აქვს.

ორიგინალური და უნიკალურია კარიც. იგი ერთურთისაგან 6,4 მეტრის (7 იარდის) დაშორებით გვერდიგვერდ აღმართული ოთხი „უსასრულოდ გრძელი“ ძელისგან შედგება. რაგბისგან განსხვავებით, კარს ზარიხა არა აქვს.

შუა ორ ძელს საგოლე ძელები ჰქვია. გოლის გასატანად ბურთმა მათ შორის პირწმინდად უნდა გაიაროს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ უნდა შეეხოს მოთამაშეებს ანდა ძელს.

გოლის გატანა 6 ქულად ფასდება. სხვაფრივ, გუნდს ერთი ქულა ერგება, თუ ბურთი საგოლე ძელებს შუა კი გაივლის, მაგრამ ეს პირწმინდად ვერ მოხდება, ანაც ბურთი ძელთა ერთ-ერთ ნაპირა წყვილს შუა შევარდება. ასე გატანილ ბურთს უკუგოლი (Behind) ჰქვია.

შეხვედრას ხუთნი სჯიან. ერთი სულ მოედანზეა და თამაშს უძღვება, ორნი მოედნის კიდეებზე თითო-თითოდ დგანან, კიდევ ორი მსაჯი კი კარებს უკან მოწყობილა. ესენი ერთი ალმის შემართვით უკუგოლს (1 ქულას) -აღნიშნავენ, ორით — გოლს (6 ქულას), გატანილ ბურთებს თავთავიანთ ბარათებში იწერენ და ითვლიან ანგარიშს, რომლებიც ხშირად კალათბურთისაზე მეტია.

მატჩი 100 წუთს გრძელდება და 25-წუთიან მეოთხედებად იყოფა. პაუზები ერთობ იშვიათია, გაცდენილი დრო კი მეოთხედებს ბოლოში ემატება. ნახევარი თამაშის შემდეგ 15-წუთიანი შესვენება ცხადდება, ბოლო მეოთხედის წინ კი — ხუთწუთიანი. შესვენებებზე მწვრთნელს მობურთალთათვის ჭკუის დასარიგებლად მოედანზე შესვლა შეუძლია.

## თვრამეტნი, მათ შორის მარბიელიც

თამაშში გუნდიდან 18 კაცი მონაწილეობს. მათ გარდა, გუნდს ორი სათადარიგოც ჰყავს.

18 კაცი ხელობისდა შესაბამისად ექვს სამეულად იყოფა: გუნდში სამ-სამი მთლად ფორვარდი, ნახევრად ფორვარდი, ცენტრი, ნახევრად მცველი და მთლად მცველია, მეექვსე სამეული კი რაქადაა ცნობილი. პირველი ხუთი სამეული თამაშის არსისა და ტაქტიკის გამო მოედნის განსაზღვრულ უბნებსაა მიჯაჭვული, თუმცაკი წესები მათს გადაადგილებას არანაირად ზღუდავს. იმავე ტაქტიკის გამო მთელს მოედანზე ნავარდი რაქების პრეროგატივაა. რაქში ერთი მარბიელია, ორნი კი მიმყოლები არიან. ასეა თუ ისე, სამივედ ზორბა, ჩაუქ და მეომარ ჯეელებს არჩევენ ხოლმე.

თამაშის წესები, არსი და ტაქტიკა, თვალის ზერელედ შევლებით, ერთობ პრიმიტიულია. ბურთი მეტწილად ჰაერშია: ყველა ნიადაგ იმის ცდაშია, რომ ბურთი არეკნით, წინ, მეტოქის კარისკენ დაარტყას იმის იმედით, რომ იქ დაბანაკებული სამეული მეტოქეს დაასწრებს, მარჯვედ ახტება და ბურთს უხინჯოდ ანუ „ალალად“ დაიჭერს. ალალად დაჭერის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბურთმა მინიმუმ 10 იარდი მაინც და მოთამაშეთა შეუხებლად იფრინოს, მოთამაშემ შეუძლია ფეხბურთულ შეუფერხებლად დაარტყას წინ, რაკილა მეტოქეს ქვრის ადგილს აქეთ გამოსულა გურძელვა და ოდენ ზე-ახტომა ან ხელების ქნევას უნდა დახვეტროს. თუ მეტოქე ამ წესს დაარღვევს, მსაჯი ქვრის ადგილს 13,7 მეტრით (15 იარდით) წინ წასწევს.

ბურთის ფეხით დარტყმის გარდა ნებადართულია მისი ხელში აღება და გატაცება, ოღონდაც მოთამაშემ ყოველი 9 მეტრის (10 იარდის) გარბენის შემდეგ ბურთი კალათბურთის ყაიდაზე მიწას ერთხელ მაინც უნდა დაანარცხოს. რაც შეეხება ბურთის ხელით გადაცემას, იგი ერთობ უჩვეულოდ ხორციელდება: აკრძალულია ბურთის ტყორცნა; სამაგიეროდ ნებადართულია ერთი ხელით ჭერილი ბურთისთვის მეორე ხელის მჯიღის დაკვრა — სწორედ ისე, მოხულიგნო ფეხბურთელები მსაჯს ან მეტოქეს რომ მიუგდებენ ხოლმე ბურთს.

ფეხბურთისა და რაგბისგან განსხვავებით ავსტრალიურ ბურთაობაში არც თამაშგარეა, ბურთის გადაგდებაც ნებისმიერ მხარეს შეიძლება და არც ბურთის ხელიდან გავარდნა ითვლება დარღვევად. ნებადართულია ძალისმიერი თამაში, ოღონდაც აკრძალულია კისრისა და ფეხების შებოჭვა, კვანტის დადება, ხელით ან ფეხით დარტყმა, აგრეთვე უბურთო მეტოქის რაგინდარა ხერხით შებოჭვა, მასზე თავლასხმა და მისთვის ბიძგება. სხვაფრივ, ყველაფერი დაშვებულია, რაც თამაშს ერთობ ხისტ იერს ანიჭებს.

ბურთაობის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ნებადართულია მეტოქისათვის გზის შეკვრა (ბლოკირება). ამას ავსტრალიურად თანაგუნდელის მწყემსვა ეწოდება. ბურთიანი თავისიანის სამწყესავად მოთამაშეს მხოლოდ მაშინ შეუძლია მეტოქეს წინ აღუდგეს, როცა ბურთიანს არაუმეტეს ხუთი იარდი აშორებს.

წესების ყველა დარღვევისათვის ერთადერთი სასჯელი — თავისუფალი დარტყმა ინიშნება. მას წესის დამრღვევთან მყოფი უახლოესი მეტოქე ასრულებს. მოედნიდან მოთამაშის გაძევება წესებით არ (!) შეიძლება. სამაგიეროდ, ხუთივე მსაჯს შეუძლია, სადაც ჯერ არს, იქ წარადგინოს პატაკი მობურთალთა რაგინდარა ულირსი საქციელის შესახებ, რის შემდეგაც, ჩვეულებრივ — შუა კვირაში, საქმის გასარჩევად შეიკრიბება ნაღდი ტრიბუნალი, რომელსაც ხშირად ხელდასხმული მსაჯული თავმჯდომარეობს ხოლმე.

ყველაფერ ზემოთთქმულთან ერთად, ავსტრალიურ ბურთაობაში მსაჯთა ფუნქციებიც ორიგინალურია. კარის მსაჯების შესახებ მოგახსენეთ. კიდის მსაჯს სამი რამ ევალება: კიდეზე ბურთის გადასვლის აღნიშვნა, გოლის (6 ქულის) გატანის შემდეგ კართან მსწრაფლ მივარდნა და ბურთის მოედნის შუაგულისკენ გაქცუნება (შაიბიანი ჰოკეის მსგავსად), და რაც ყველაზე საგულისხმოა, კიდიდან ბურთის მოწოდება, თუკი ბურთი იქ თამაშ-თამაშ გადავა და არა — არეკნით დარტყმის შემდეგ, თან ისე, რომ კიდეზე გადასვლამდე მოედანს არ შეეხება.

ბურთის მოსაწოდებლად კიდის მსაჯი მოედანს ზურგს შეაქცევს და ბურთს ხელუკუღმა, მაღლა მოისვრის ისე, რომ მოედანში 10-15 იარდით შევარდეს. იქ მას დახვდებიან მოშუღარი რაქები და ბურთის დასაუფლებლად შეებმიან ერთმანეთს.

სხვა დროსაც რაქები მონაწილეობენ სადაო ბურთის გათამაშებაში. ყოველი მეოთხედის დაწყებისას და ყოველი გოლის (6 ქულის) შემდეგ მოედნის მსაჯი შუაგულ მოედანში სადაოს აგდებს. სამისოდ ის, რაც ძალი და ღონე აქვს, ბურთს ძირს აზარცხებს, მაშინ არეკლილი ბურთისთვის კი რაქები დაერევიან ერთმანეთს; მაგრამ თუ მოედანზე ტლაპოა, მსაჯი, ვითომც კალათბურთშია, პირდაპირ ასვრის აგდებს ხალხს.

დასასრულ, სასრულისთვის მიუთითოთ რამდენიმე წესიც: უკუგოლის (ერთი ქულის) შემდეგ მისი გამშვები გუნდი თავისი კარის წინ მდებარე 10-იარდიანი მოედნიდან განაახლებს თამაშს, ხოლო თუ არეკნით დარტყმული ბურთი კარს აცდება და ისე გადასცდება მოედანს, ანაც კიდეზე ისე გადავა, რომ მოედანს არ შეეხება, უახლოესი მეტოქე კიდიდან ფეხით დაარტყამს ბურთს.

## „კაჭკაჭები“, „ყვავები“, „გედები“, „არწივები“ და ა.შ.

ავსტრალიურ ბურთაობაში შტატები კი ეჯიბრებიან ერთმანეთს, მაგრამ უმთავრესი მაინც ვიქტორიის ასოციაციიდან ჯერ კიდევ 1896 წელს გამოყოფილი ლიგის საკლუბო პირველობაა. დღესდღეობით ლიგაში 15 კლუბი: ესენდონი, კარლტონი, ჩრდილოეთი მელბურნი, ჰოვთორნი, დასავლეთი სანაპირო (პერთი), ჯილონგი, ადელაიდა, კოლინგვუდი, ფუთსკრეი, მელბურნი, სენთ-კილდა, ფითსროი, ბრისბენი, რიჩმონდი და სიდნეი — ირიცხება. მათი უმეტესობა, ცხადია, კვლავაც ვიქტორიას, უფრო კი მის დედაქალაქს — მელბურნს წარმოადგენს.

ლიგის თამაშები უქმეებზე ეწყობა. ჯერ ყველანი თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს, მერე კი ხუთი (?!) დაწინაურებული ოლიმპიური სისტემით (?!) პირველობისთვის თამაშობს. ეს კლასიკურ ოლიმპიურ ბადეში დამატებითი წრეების შეტანით ხერხდება — ავსტრალიელები აბა რისი ავსტრალიელები იქნებოდნენ, გათამაშების სისტემაც ყველასაგან განსხვავებული რომ არ ჰქონოდათ.

სისტემა სისტემად, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ავსტრალიელ მობურთალეებს ფრინველთა სამყარო ძალიან ჰყვარებიათ. თავად განსაჯეთ: პერთს „არწივები“ ჰყავს, ადელაიდას — „ყვავები“, კოლინგვუდს — „კაჭკაჭები“, სიდნეის — „გედები“, ხოლო ბრისბენს — „დათვები“, თუმცაკი დათვი ჩიტი რომ არაა, ჩვენც კარგად მოგვეხსენება.

წელს ლიგის დიდ ფინალში, რომელიც შაბათს, 25 სექტემბერს, მელბურნის კრიკეტის მოედანზე 96-ათასიანი აუდიტორიის წინაშე გაიმართა, ჩიტ-გუნდები არ მონაწილეობდნენ. ერთმანეთის პირისპირ ორი ყველაზე მეტად ტიტულოვანი გუნდი — ესენდონის „ბომბდამშენები“ და კარლტონის „ლურჯები“ წარსდგა. ესენდონმა თამაში უჩვეულოდ იოლად, ერთბაშად 44 ქულით — 133:89 მოიგო. გამარჯვებულთაგან ოთხმა მობურთალმა 4-4 გოლი გაიტანა, ე.ი. 16X6=96 ქულა მოაგროვა, დამარცხებულთა კაპიტნის კერნიჰანის ანგარიშზე კი „ლურჯების“ მიერ გატანილი 13 გოლიდან შვიდია. ლიგის პირველობის მოგების გარდა ესენდონმა სხვაფრივაც ისახელა თავი: მათი ერთი მოთამაშე, მაიკლ ლონგმენი დიდი ფინალის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს და ნორმ სმითის სახელობის სამახსოვრო მედლით დააჯილდოვეს, 20 წლის ბეკი გევინ ვენგენიენი კი დაჯილდოვდა ბრენდ ლოუვის მედლით, როგორც ლიგის საუკეთესო მობურთალი.

სულ ესენდონმა მეთხუთმეტედ მოიგო ლიგის პირველობა და ამ მაჩვენებლით კარლტონს გაუსწორდა.



## აქეთური, იქითური

კვირას გოლფის [illegible] თასზე ამერიკელთა გამარჯვების შემდეგ მათმა კაპიტანმა ტომ უოტსონმა ქებით მოიხსენია მატჩის ყველა მონაწილე, უშედავათო შეჯიბრის მიუხედავად ერთმანეთს ისე კეთილმოსურნედ ეპყრობოდნენ, რომ სხვა სპორტის წარმომადგენლებმაც უნდა მიჰბაძონო. რაც შეეხება დამარცხებულ ევროპელთა მწვრთნელს ბრენდან გალაჰერს, მას პრეს-კონფერენციაზე ჭიჭურ ჰკითხეს, ორი წლის შემდეგ ოუკ-ჰილზში გუნდს ვინ უთავკაცებსო, რაზეც კაპიტანმა ენამოსწრებულად უპასუხა, რაკილა ოთხი წლის შემდეგ, როცა ისევ ევროპის მასპინძლობის ჯერი მოვა, მატჩი ესპანეთში გაიმართება, იქ კი კაპიტნად სევერიანო ბალესტეროსის დანიშვნას ვერ ავცდებით, ამიტომ აჯობებს, თუ ოუკ-ჰილზშიც სევე გვითავკაცებსო. ეს ამბავი სევის რომ შეუტყვია, უთქვამს, შემდეგ მატჩში კაპიტანი ინგლისელი ნიკ ფალდო იქნებაო.

*

მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესმა ჩოგბურთელმა ქალმა, 36 წლის მარტინა ნავრატილოვამ განაცხადა, რომ 1994 წელი მის კარიერაში ბოლო იქნება. გაისად სწორუპოვარი მარტინა „დიდი სლემის“ ოთხი ტურნირიდან სამში — პარიზში, ლონდონსა და ნიუ-იორკში გამოვა. ჩეხურფილი, რომელმაც მსოფლიოს კორტებზე 20 წლის განმავლობაში ერთეულთა თანრიგში 165 შეჯიბრება მოიგო, საპრიზო ფონდებიდან კი 18 მილიონი დოლარი მოაგროვა, დღესდღეობით მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე-მეოთხეა ხოლმე, მაგრამ, როგორც ირწმუნება, სხეულს ძველებურად ველარ იმორჩილებს.

*

პაკისტანის კრიკეტის საბჭოს თავმჯდომარემ ნასიმ ჰასან შაჰმა გამოაცხადა, რომ მისი ქვეყნის გუნდი ალბათ უარს იტყვის სანოემბროდ ინდოეთში დანიშნულ ერთდღიანი კრიკეტის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე. საქმე ისაა, რომ ჰინდუთა შეიარაღებული რაზმები ტურნირის ჩაშლით იმუქრებიან, თუკი პაკისტანელები აისპარეზებენ შეჯიბრში, რომელიც ბენგალიის კრიკეტის ასოციაციის საუკუნოვან იუბილეს ეძღვნება. ჰასან შაჰის თქმით, პაკისტანელებს ერთობ სურთ ინდოელებთან თამაში, მაგრამ სადღეისოდ არსებული პოლიტიკური ვითარების გამო არავის შეუძლია სტუმრებს უსაფრთხოება აღუთქვას.

*

ცნობილმა ბულგარელმა სპორტსმენებმა, მათ შორის დიტო შანიძის მჯობნმა ნურაირ ნურიკიანმაც, ქვეყნის ხელისუფლებას ოფიციალურად მოსთხოვეს განმარტოს, თუ რას ერჩიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) წევრს ივან სლავკოვს. როგორც ირკვევა, სლავკოვის ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ იგი ქვეყნის ყოფილი ლიდერის ტოდორ ჟივკოვის სიძეა, რის გამოც ახალი ხელისუფლება ისე ალმაცერად უყურებს, რომ არც გაუშვა მონტე-კარლოში გამართულ 101-ე სესიაზე დასასწრებად, სადაც 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელს ირჩევენ.

*

სიდნეიმ ერთი გამარჯვებაც მოიპოვა. მონტე-კარლოს სესიის შემდეგ გამართა საპყართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომამ, რომელმაც 2000 წლის პაროლიმპიადის, ანუ ხეიბართა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაც სიდნეის დააკისრა. სიდნეიმ ინვალიდთა არჩევნებშიც იმავე კონკურენტებს აჯობა: ერთი ეგ იყო, რომ სტამბოლი კონკურსში აღარ მონაწილეობდა. საპყართა ოლიმპიადაზე, რომლის გამართვის ზუსტი თარიღიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, ასიოდე ქვეყანა მიავლენს სპორტსმენებს.

*

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 1995 წელს მორაგბეთა მსოფლიო თასის შესამე გათამაშება უნდა გაიმართოს. მსოფლიო თასის ორგანიზატორი Rugby World Cup Ltd ამ კვირაში კუნძულ მენზე იკრიბება, სადაც რასიზმის ყოფილ ციტადელში მიმდინარე აღუსასრულებელ მოვლენებზეც იმსჯელებენ: ნატალსა და ტრანსვაალში არა და არ წყდება ტერორისტული აქტები, რომლებსაც როგორც ულტრამემარჯვენე ბურები, ისე ზანგთა სხვადასხვა ტომის შეიარაღებული დაჯგუფებები აწყობენ.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკევობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლის“ საგამომცემლო კორპუსში; ზემარულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეჭველია, მამუკა ხიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
ნომრის რედაქტორი ზაალ გიგინეიშვილი